ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 26 აგვისტო 2000 №164 (1186) | ფასი 50 თეთრი


## (ექს)ჩემპიონები

*ხვალ საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ ექსჩემპიონ თბილისის „დინამოს“ ესტუმრება.*

*ქართული ფეხბურთის ლიდერთა ეს დუელი „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ახალი სუბორდინაციის მერე პირველია.*

*„დინამოს“ ახალბედა თავკაცი რევაზ არველაძე მისი ყოფილი მწვრთნელის, დავით ყიფიანის დამარცხებას შეეცდება. არველაძის იქმით ხომ თბილისელებს საკუთარი ჩემპიონობის არ ეეჭვებათ.*

საქართველოს ჩემპიონატი 12 უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

## 2 ტური

27 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | ტორპედო |
| კოლხეთი | იბერია |
| ბათუმი | თსუ |
| დილა | მერანი |

28 აგვისტო, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | სიონი |
| ლოკომოტივი | გორდა |

## ჯოვანი ტრაპატონი: 19 ძველი, 3 ახალი

**ფუხელ** საქართველოს ნაკრების მეტოქის, იტალიის ეროვნული გუნდის ახალმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში, 3 სექტემბერს უნგრეთის ნაკრებს შეხვდებიან. ბუდაპეშტს ტრაპატონი 22 რჩეულით ესტუმრება. ძირითადად ის ფეხბურთელები იხმო, რომლებიც „სკუადრა ძურას“ ღირსებას ზაფხულში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იცავდნენ, თუმცა, ნაკრებში სამი დებიუტანტიცაა: დანიელე ადანი „ფიორენტინადან“, რობერტო ბარონიო „ლაციოდან“ და ჯენარო გატუზო „მილანიდან“.

*მეკარეები:* ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), კრისტიან აბიატი (მილანი);

*მცველები:* დანიელე ადანი (ფიორენტინა), მარკ იულიანო (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა, პაოლო ნეგრო, ჯუზეპე პანკარო (ყველა ლაციო), პაოლო მალდინი (მილანი), ფაბიო კანავარო (პარმა);

*ნახევარმცველები:* ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), რობერტო ბარონიო (ლაციო), დემეტრიო ალბერტინი, მასიმო ამბროზინი, ჯენარო გატუზო (ყველა მილანი), სტეფანო ფიორე (უდინეზე);

*თავდამსხმელები:* ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოტი, ვინჩენცო მონტელა, მარკო დელვეკიო (ყველა რომა).



REUTERS მონაკოდან

კონფერენცია უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის სიტყვით გაიხსნა

## დიდი დაპირისპირება

*გუშინ მონაკოს კონგრესის სასახლეში საქართველოს დროით 15 საათზე უეფას მაღალჩინოსნებმა რვა ოთხგუნდიან ჯგუფად დაანაწილეს ის 32 დიადი და იღბლიანი, რომელთაც ახალ საფეხბურთო სეზონში საკლუბო შეჯიბრებათა შორის ყველაზე ბრწყინვალეში, ჩემპიონთა ლიგაში მოუწევთ ასპარეზობა.*

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები

## თურქული სუპერმაქსიმუმი

UEFA SUPER CUP — ევროპის სუპერთასი

**გალათასარაი 2:1დ.დ. (1:1) რეალი**

1:0 ჟარდელი (41წ), 1:1 რაული (79წ), 2:1 ჟარდელი (103, ოქროს გოლი)
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენტი, პოპესკუ, კაპონე (ფათიჰი 84), ჰაქან უნსალი, ემრე, ოკანი (ჰასან სასი 81), სუათი, ჰაჯი (აკინი 72), დავალა უმითი, ჟარდელი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, კამპო (ფლავიო კონსეისაო 66), ელგერა, ჟერემი, სელადესი (სალგადო 99), გუტი (მუნიტისი 53), მაკელელე, სავიო, ფიგუ, რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
12 000 მაყურებელი

**ფუხელ** კიდევ ერთხელ აფრიალდა ცალკე თურქეთის წითელი, ცალკეც „გალათასარაის“ წითელ-ყვითელი დროშები, კიდევ ერთხელ აღევლინა სტამბოლელ ლომთა სადიდებელი: გუშინ მონტე კარლოში უეფას თასის მფლობელმა „გალათასარაიმ“ ბრაზილიელი მარიო ჟარდელის დუბლით ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდის „რეალი“ იმსხვერპლა.



REUTERS მონტე კარლოდან

თურქები წარმატების და სიხარულის ტალღაზე... სუპერთასი გალასაა!



2000 წელი. 2 მაისი: „დინამო“ — „ტორპედო“ 1:1. იოსებ გრიშიკაშვილის კარში გიორგი მეგრელაძის (შუაში) სტუმრად გატანილმა ამ გოლმა, რომელსაც ვალტერ გუჩუამ უპასუხა, ქუთაისელები თასის ფინალში გაიყვანა

# (ექს)ჩემპიონები

საქართველოს უმაღლესი ლიგის 12 ჩემპიონატი პირველი წრე
## 2 ტური
ანონსი

თბილისი. „ეროვნული“. 27 აგვისტო. 19 საათი

### დინამო — ტორპედო

მსაჯები: ა. შილაკაძე ზ. დოლიძე ვ. ჩოჩიშვილი; მ. მალალურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**ბევრი** რამ მოხდება ხვალ პირველად...

პირველად ეწვევა ქუთაისის „ტორპედო“ თბილისის „დინამოს“ ჩემპიონის რანგში.

პირველად დაუხვდება თბილისის „დინამო“ ქუთაისის „ტორპედოს“ ექსჩემპიონის სტატუსით.

რას ნიშნავს საქართველოს ჩემპიონობა, კარგად იციან დავით ყიფიანის და რევაზ არველაძის შეგირდებმა.

— უეჭველად ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი სხვა რამეა, ჩვენ უნდა შევქმნათ სტაბილური, ბრძოლისუნარიანი გუნდი, თორემ დღეს „დინამოს“ ათგზის ჩემპიონობა არავის ახსოვს. გუნდის აღორძინებაზე უნდა ვიზრუნოთ. ვფიქრობ, ამ პროცესს სამი წელი სჭირდება — განაცხადა „დინამოს“ 30 წლის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ ჩემპიონატისწინა პრესკონფერენციაზე.

ის, რომ „დინამო“ ჩემპიონობას და ძველი დიდების დაბრუნებას აპირებს, ცხადია, კარგია. კარგია ისიც, რომ ექსჩემპიონთა თავკაცი არ ცდილობს, ბანალურად ქცეული ფრაზა — „დინამო“ მაინც „დინამოა“ — დევიზად გაიხადოს.

რევაზ არველაძეს კარგად აქვს გათვითცნობიერებული და შეგნებული, რომ თბილისელთა ათწლიანი საჩემპიონო ხანიდან კლუბი სახელის გარდა ვეღარაფრით ხეირობს — „დინამო“ ვალებშია, პრეზიდენტი — ციხეში.

არველაძის მიდგომა საქმისადმი სწორია. მეტიც, ასეთ დროს სიტუაციის შესაბამისად შეფასება და გააზრება საქმის ნახევარია. ჩავთვალოთ, რომ „დინამოში“ დიდი საქმის ნახევარი გაკეთებულია, მაგრამ ეს ნახევარი ტიტულის დასაბრუნებლად რომ არ იკმარებს, აქედანვე ნათელია.

მით უმეტეს, ქართული ფეხბურთის სიმძიმის ცენტრმა აშკარად გადაინაცვლა ქუთაისში. საუკეთესო ფინანსური უზრუნველყოფა, საუკეთესო, ახალშეკეთებული სტადიონი და საწვრთნელი ბაზა, საუკეთესო ფეხბურთელები, მათ შორის თვით „დინამოდან“ გადაბირებულნი, ჩემი აზრით, უფრო „ტორპედოს“ პირველობის გახანგრძლივებას შეუწყობს ხელს.

აქამდე ათ წელიწადს „ტორპედოში“ ორად ორ დინამოგამოვლილ ფეხბურთელს ეთამაშა. წლეულს კი ქუთაისელთა განაცხადში ერთბაშად 6 ასეთი მოთამაშეა. ამ ექვსში, ცხადია, არ იგულისხმება თენგიზ სიჭინავა, რომელიც ვალტერ გუჩუასთან ერთად იმერლებს ჩემპიონთა თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან“ თამაშისას დაეხმარა, მაგრამ გუჩუასგან განსხვავებით „დინამოს“ დაუბრუნდა.

ლიტვური კაუნასის „ჟალგირისიდან“ დაბრუნებული ირაკლი ზოიძე, თბილისის „ლოკომოტივიდან“ მისული გიალო ჩხაიძე, უშუალოდ „დინამოდან“ გადაბირებული ვალტერ გუჩუა, გიორგი გაბიდაური და იოსებ გრიშიკაშვილი. „ტორპედოში“ კიდევ ერთი, ოღონდ 6 თვით დისკვალიფიცირებული ყოფილი დინამოელია — ბოლოს „ბათუმში“ თამაშისას დასჯილი ზურაბ არჩვაძე.

ექსდინამოელებს შევეშვათ და ახლა სხვა ტორპედოელები ჩამოვთვალოთ: ყველაზე სახელიანნი ეროვნული ჩემპიონატის შარშანდელი ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი ზურაბ იონანიძე, მეგოლეები დავით ჯანაშია და გიორგი მეგრელაძე, საყრდენი ჯონი შალამბერიძე, მცველები ვახტანგ ხვადაგიანი და ვახტანგ თურმანიძე, ფლანგელები კახა ჩხეტიანი და ბადრი აზვლედიანი და კიდევ „ტორპედოს“ ახალგაზრდული ოთხეული მიხეილ მახვილაძე, მალხაზ ასათიანი, მიხეილ ბობოხიძე და გია იმედაძე.

ქუთაისური კლუბის განაცხადშივეა უკვე კარგახანს საქართველოს ჩემპიონატის უძლიერესი მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძე.

„დინამოს“ შემადგენლობა „ტორპედოსასთან“ ახლოსაც ვერ მივა — თბილისელთა რეალურ ძალას მხოლოდ მცველი ირაკლი ვაშაკიძე, ნახევარმცველები გიორგი ანჩაბაძე, პაატა ჯინჭარაძე და დავით დათუაძე წარმოადგენენ. ხმაურიან გვარებს „დინამოს“ განაცხადშიც გადააწყდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, კახი ცხადაძე და მურთაზ შელია დღეს სახელიანი წარსულის გარდა ვერაფრით დაიკვეხნიან.

მაშ ასე, ჩემპიონი მოთამაშეებითაც უფრო მდიდარია, ვიდრე ექსჩემპიონი.

რევაზ არველაძეს გამომცდელიც მასზე ბევრად გამოცდილი ჰყავს — ოდინდელი გამწვრთნელი დავით ყიფიანი.

ყიფიანის გუნდს სახვალიოდ დაუბრუნდება პირველ ტურში ტრავმის გამო ვერნათამაშევი დავით ჯანაშია. სამაგიეროდ კი დაშავებული გიალო ჩხაიძე დააკლდება.

მეორე ტურის ცენტრალური წყვილის მატჩი, ისევე როგორც ორშაბათს „ლოკომოტივ“ — „გორდასი“, 19 საათზე დაიწყება, დანარჩენი შეხვედრები კი ნახევარი საათით ადრე.

„კოლხეთი“ პირველ ტურში გაძევებული მცველის, კახა გოროზიას გარეშე შეეცდება „იბერიასთან“ ხასიათის გამოკეთებას. პირველ ტურშივე დასმულ დიდ კითხვის ნიშანზე პასუხის მიგებას ეცდება თსუ-ს მასპინძელი „ბათუმიც“.

„დილამ“ მარცხიანი დებიუტის გამოსასწორებლად „მერანი“ უნდა დაამარცხოს. „ბათუმის“ სასწაულით მძლეველი „გორდა“ კი ახლა „ლოკომოტივთან“ უნდა გამოიცადოს.

„ლოკომოტივს“ წინა ჩემპიონატიდან დისკვალიფიკაციაგადმოყოლილი ცეზარ ხუროძე ისევ ვერ დაეხმარება, სამაგიეროდ, რევაზ ძოძუაშვილის განკარგულებაში იქნება ასევე შარშან დასჯილი და პირველი ტურის მერე ამნისტირებული ალექსანდრე ბურნაძე.

ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ პირველ ტურში ჩემპიონთან მარცხნაწვნევ „სიონს“ მიიღებს. როგორ ფიქრობთ, იოლად შეეგუებიან ბოლნისელები ზედიზედ წაგებას?..

**ვახტანგ ბჟიტაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 2 გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 4 ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 8 სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 9 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 9 იბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 თსუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 12 დილა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

ფოთი. „ფაზისი“. 27 აგვისტო. 18.30 საათი

### კოლხეთი — იბერია

მსაჯები: ა. კრიჟაშვილი; ზ. ჯღარიძე (ორივე თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
დისკვალიფიცირებული: კ. გოროზია (კოლხეთი)

ბათუმი. „დინამო“. 27 აგვისტო. 18.30 საათი

### ბათუმი — თსუ

მსაჯები: ა. მუშკუდიანი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გორი. „ცენტრალური“. 27 აგვისტო. 18.30 საათი

### დილა — მერანი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კოკაჩიშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 28 აგვისტო. 18.30 საათი

### ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

თბილისი. „ეროვნული“. 28 აგვისტო. 19 საათი

### ლოკომოტივი — გორდა

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირეკავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებული: ც. ხუროძე (ლოკომოტივი)



2000 წელი. 2 მაისი: „დინამო“ — „ტორპედო“ 1:1.
ქუთაისელთა ყოფილმა დინამოელმა ირაკლი ზოიძემ ბურთი თავიდან ააცალა თბილისელთა ყოფილ ტორპედოელ ირაკლი ვაშაკიძეს

# გერეტსი გახოკიძეს ფეხს შეძენს და მენას შეწუხეს

**გოგა გახოკიძემ**, რომელიც ჰოლანდიის ჩემპიონ პსვ-დან ისრაელ- ის ჰაიფას „მაკაბიში" ერთი სეზონით იყო განათხოვრებული და ახლა უკ- ან დაბრუნდა, შესაძლოა თავის კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში ით-ამაშოს. ყოველ შემთხვევაში, პსვ-ს მწვრთნელ ერიკ გერეტსს ამისი სურვილი ჰქონია.

— რამდენიმე წუთის წინ პირადად შევხვდი გერეტსს და ჩემს მომავალზე ვისაუბრეთ. მწვრთნელმა მითხრა, დაზუსტებით ყველაფერს ერთ კვირაში გეტყვიო. ისე კი გერეტსს დიდი სურვილი აქვს, გუნდში დამტოვოს. ჰოლანდიის უკვე დაწყებული ჩემპიონატის განაცხადში ჩემი შეყვანა პრობლემა არ არის. გერეტსი ყოველი ვარჯიშის მერე მაქებს და მეც ვგრძნობ, ჩვეულებრივზე უკეთეს ფორმაში ვარ, თუმც მწვრთნელი იმაზე წუხს, ენა რომ არ ვიცი. სიამოვნებით გათამაშებ ჩემს გუნდში, მაგრამ აქაურად უნდა ლაპარაკობდეო, მეუბნება. ერთი სიტყვით, ვნახოთ, სავსებით მოსალოდნელია, პსვ-ში დავრჩე და ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშო. ისე, პირობებს გააჩნია, თუ უკეთესი გუნდი მიმიწვევს არც დავფიქრდები, აქედან ისე წავალ. როგორც ვთქვი, ძალიან კარგ ფორმაში ვარ, რამდენი ამხანაგური მატჩიც ვითამაშე, იმდენი გოლი გავიტანე — გვითხრა გოგა გახოკიძემ, როცა ეინდჰოვენში შევეხმიანეთ და ახალ გუნდში გადასვლის თაობაზე ვკითხეთ.

**კოკა ინასარიძე**



ACTION IMAGES სააგენტოს ფოტო

ლევან ქებაძე „ირაკლისმა" „იანინაში" გაანათხოვრა

# სამი ქართველი სპარტაკში!

## ოლეგ რომანცევმა ხიზანეიშვილისა და შენგელიას შემდეგ მესამე ქართველიც აიყვანა

**აბა**, გამოიცანით, რუსეთის უმაღლესი დივიზიონის რომელ კლუბს ჰყავს ყველაზე მეტი ქართველი ფეხბურთელი? ვის და... მოსკოვის „სპარტაკს". დიახ, გუშინ რუსეთის სახალხო გუნდმა, როგორც „სპარტაკს" ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები უწოდებენ, გუშინ უეფაში ჩემპიონთა ლიგის განაცხადი გააგზავნა. მოსკოვური კლუბის მწვრთნელ-პრეზიდენტმა ოლეგ რომანცევმა მასში 26 ფეხბურთელი შეიყვანა, რომელთა შორისაც სამი ქართველია: ოთარ ხიზანეიშვილს რომანცევმა სამნომრიანი მაისურა მისცა, ირაკლი შენგელია მეთოთხმეტე ნომრით ითამაშებს, ბოლო, ოცდაექვსნომრიანი მაისურა კი „სპარტაკში" ახლახან ჩარიცხულ იოსებ მანჭარაულს ერგო. მოსკოველებს ზემოაღნიშნულ განაცხადში ცვლილებების შეტანა 11 სექტემბრამდე, ანუ ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე შეუძლიათ.

ოთარ ხიზანეიშვილის ამბავი ყველამ კარგად იცის. 18 წლის მცველი „სპარტაკში" თვენახევრის წინ გადავიდა და რუსეთის ჩემპიონატში რამდენიმე მატჩის ჩატარებაც მოასწრო. შეფასებაც საკმაოდ კარგი მიიღო, თუმც ბოლო ტურებში რომანცევმა ჩვენებური შემადგენლობაში რატომღაც აღარ დააყენა.

„სარბიელის" მკითხველს ირაკლი შენგელიას თაობაზეც მოეხსენება. ირაკლიმ „სპარტაკთან" აგვისტოს პირველ რიცხვებში გააფორმა კონტრაქტი, თუმც 19 წლის ქართველი ნახევარმცველი გუნდის შემადგენლობაში ჯერჯერობით არ გამოჩენილა.

აი, სოსო მანჭარაულის ტრანსფერი კი ერთობ უხმაუროდ განხორციელდა. 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ტანმაღალი თავდამსხმელი ბოლო სეზონში „თბილისი 2"-ის ღირსებას იცავდა, ერთი მატჩი შარშან უმაღლესი ლიგის „თბილისშიც" ჩაატარა და გოლიც გაიტანა. 17 წლის მანჭარაულმა შარშან საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებშიც ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, რომელიც თბილისში ჩატარდა და ჩვენთვის წარუმატებელი გამოდგა. მანჭარაულიც შენგელიას მსგავსად სულ ახალი გადასულია „სპარტაკში".

რომანცევმა ლიგის განაცხადში სამივე ქართველი კი შეიყვანა, მაგრამ ერთობ საეჭვოა, რომელიმეს ძირითად შემადგენლობაში ადგილი ანდოს. ამ სამეულიდან ყველაზე მეტად ეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ ოთარ ხიზანეიშვილს ძალუძს, რომელმაც პრესისა თუ მწვრთნელების ქება უკვე დაიმსახურა. შენგელიასა და მანჭარაულს კი შემადგენლობაში მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, არა აქვთ, მით უმეტეს, გუშინ მონაკოში გამართულმა კენჭისყრამ „სპარტაკს" ქვეჯგუფში საკმაოდ ძლიერი მეტოქეები არგუნა მადრიდის „რეალის", ლევერკუზენის „ბაიერისა" და ლისაბონის „სპორტინგის" სახით.

**განო ოქრობირიძე**

# ქებაძე იანინელია

## სალონიკის ირაკლისმა ქართველი ფეხბურთელი ერთი წლით გაანათხოვრა

**ახლახან**, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ახალი კონტრაქტი გააფორმა ბერძნულ სალონიკის „ირაკლისთან" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა წევრმა ლევან ქებაძემ. მიუხედავად ამისა, ქებაძე მომავალ სეზონს სხვა ბერძნულ კლუბში, უმაღლეს დივიზიონში წლეულს ალზევებულ „იანინაში" გაატარებს. ეს გადაწყვეტილება „ირაკლისის" ხელმძღვანელობამ თავად ქართველ ფეხბურთელთან და მის მენეჯერ დავით ქარაულთან შეთანხმების შემდეგ მიიღო.

„იანინა" იმ ქალაქის კლუბია, სადაც საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთის ეროვნულ გუნდთან 1995 წელს ამხანაგური მატჩი გამართა და 1:2 დამარცხდა.

ლევან ქებაძემ საბერძნეთს ამ ზამთარს მიაშურა. ჩვენებურმა საბერძნეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „ირაკლისში" კონტრაქტის მიხედვით ნახევარი სეზონი დაჰყო. თუმცა თავისი შესაძლებლობების გამოვლენა ამ დროშიც მოასწრო, მისმა გოლმა „ირაკლისს" უეფას თასის საგზურისთვის გამართულ დამატებით ტურნირში მოაგებინა და ბერძნებმაც ქებაძეს ხელშეკრულების გაგრძელება შესთავაზეს. ასეც მოხდა, ქებაძე კვლავაც „ირაკლისის" საკუთრებაა, თუმც როგორც გითხარით, ამ სალონიკურმა კლუბმა ერთი წლით „იანინაში" გაანათხოვრა. არ არის გამორიცხული, „ირაკლისმა" ლევანი უკან ნახევარი წლის შემდეგ დაიბრუნოს. ეს მთლიანად ქებაძის თამაშზეა დამოკიდებული.

— „ირაკლისმა" სეზონთშორის არდადეგებზე რამდენიმე ძვირადღირებული ფეხბურთელი შეიძინა, რითაც ქებაძეს ამ ეტაპზე გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ერთიორად შეუმცირდა. ამიტომ „ირაკლისში" სათადარიგოთა სკამზე ჯდომას „იანინაში" გადასვლა სჯობდა. აქ ლევანი სათამაშო პრაქტიკასაც მიიღებს და გამოცდილებასაც შეიძენს. ვფიქრობთ, სწორად მოვიქეცით" — აღნიშნა „სარბიელთან" საუბრისას დავით ქარაულმა.

„იანინა" 25 წლის ლევან ქებაძისთვის მერვე კლუბი იქნება: აქამდე მას „ჭაბუკიანში", რუსთავის „მეტალურგში" ზესტაფონის „მარგვეთში", ქუთაისის „ტორპედოში", თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივში", აგრეთვე სალონიკის „ირაკლისში" უთამაშია.

**განო ოქრობირიძე**

# სექტემბერში თბილისში

**ახლახან** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აზერბაიჯანიდან ფაქსი მოვიდა. თუ სურვილი გექნებათ, ამასწინანდელი შეთანხმებისამებრ სექტემბერში თქვენი და ჩვენი თვრამეტწლამდელთა ნაკრებები ამხანაგურად გავაჯიბროთო, გვთავაზობენ ჩვენი მეზობლები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პასუხი ჯერჯერობით არ უცნობებია. ჯერ ვფიქრობთ, ჩვენთვის სასურველ თარიღს შევარჩევთ და საბოლოო პასუხსაც შემდეგ გავუგზავნითო, გვითხრეს ფედერაციაში. ქართული და აზერბაიჯანული ფეხბურთის ხელმძღვანელებს დეტალებზე შეთანხმება ალბათ არ გაუჭირდებათ და შოთა ჭეიშვილი და მისი შეგირდებიც სექტემბრის მეორე ნახევარში თბილისში აზერბაიჯანელებს დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, ორიოდე თვის წინ აზერბაიჯანს საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და თვრამეტწლამდელთა ნაკრებები სტუმრობდნენ. სწორედ მაშინ შეთანხმებია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია თავის აზერბაიჯანელ კოლეგას, 18-წლამდელთა ნაკრების თბილისში საპასუხო ვიზიტის თაობაზე. მეზობლებს ჩოლარიას წინადადება მიუღიათ და მოგვიანებით შემოგეხმიანებითო უპასუხიათ. ახლა კი სიტყვა აასრულეს. 18-დან 22 სექტემბრამდე ფანჯარა გვაქვს და ამ პერიოდში როცა გინდათ მაშინ გეწვევითო, შემოთვალეს მეზობლებმა. ამ დროს თამაშზე ჩვენებიც თანახმანი ყოფილან.

**ლუკა თალაკვაძე**

# მწვრთნელობიდან მენეჯერობამდე

## ტორპედო იუვენტუსზე მაგარია

**საქართველოს** ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" ყოფილი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი ქვეყნის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს" გენერალურ მენეჯერად დაინიშნა.

დიდი ხანია, გუცაევი „ტორპედოსთან" თანამშრომლობს, მაგრამ ადრე მას არავითარი სტატუსი არ ჰქონდა, გუშინ კი ქუთაისური კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა, ახლა მხოლოდ დამფუძნებელმა მიხეილ ქორქიამ განგვიცხადა, რომ ვლადიმერ გუცაევი „ტორპედოს" მენეჯერია, როგორც ეს თითქმის ყველა ევროპულ კლუბშია მიღებული. თანამდებობიდან გამომდინარე, გუცაევი, რა თქმა უნდა, „ტორპედოს" სატრანსფერო საქმიანობით იქნება დაკავებული — ფეხბურთელთა ყიდვა, გაყიდვა, განათხოვრება... ამ მხრივ გუნდში ჯერჯერობით ახალი არაფერია, საჩემპიონატოდ განცხადებული ყველა ფეხბურთელი, ნიკა ტოგონიძისა და სოსო გრიშიკაშვილის გარდა, დავით ყიფიანის მეთვალყურეობით ვარჯიშობს. ეს კი, სავარაუდოა, იმას ნიშნავს, უახლეს მომავალში მათი ტრანსფერია მოსალოდნელი: ოთხი მეკარე „ტორპედოს" კი არა, „იუვენტუსს" არ ჰყავს.

**კოკა ინასარიძე**



ვლადიმერ გუცაევი „ტორპედოს" მენეჯერია

# ქართველები მიდლსბროში

**31 აგვისტოს** ინგლისის ახალგაზრდული ნაკრები საქართველოს მიდლსბროში უმასპინძლებს. როგორც იქნა, გაირკვა ინგლისში წამსვლელ ფეხბურთელთა ვინაობაც. მურთაზ ხურცილავამ ნაკრებში თექვსმეტი ფეხბურთელი (მათ შორის ოთხი ლეგიონერი) გამოიძახა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია), გიორგი ლომაია (ლოკომოტივი); მცველები: ედიკ საჯაია, დავით დიღმელაშვილი, ჯაბა მუჯირი (ვიტ ჯორჯია), ვალერი აბრამიძე (ლოკომოტივი), კახა ებრალიძე (თსუ), ოთარ ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (დინამო); ნახევარმცველები და თავდამსხმელები: ლადო ბურდული (დინამო), ლევან გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), სოსო დევიძე (მერანი), ვალერი გაგუა (პოლიციასი, ლატვია), გიორგი შენგელია (ლოკომოტივი), გიორგი იმედაძე (ტორპედო), კობა წიტაიშვილი (ცაფრირიმი, ისრაელი).

ნისლიანი ალბიონის გზას ნაკრები 29 აგვისტოს დაადგება და ორი დღის შემდეგ წაუგებელი მატჩების სერიის გაგრძელებასაც შეეცდება.

ინგლის-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი SKY SPORT-ს აქვს დაგეგმილი.

**ბაადა ძვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი დამუხრუჭდა, მინისტრმა ვერ მოიცალა

**დღეს,** წესით, რიგით და რეგლამენტით საქართველოს ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო პირველი ლიგის გუნდებს შორის, მაგრამ შესაძლოა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ქართულ ფეხბურთს ჯერ კიდევ შემორჩენილ გულშემატკივრებს ამაო ლოდინი მოუხდეთ. ჩემპიონატი დღეს არ დაიწყება. მიზეზს ალბათ კითხვაც არ უნდა, რალა თქმა უნდა, უფულობა.

ამასთან დაკავშირებით გუშინ პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ. ექსტრემალური სიტუაციაა და საჭიროდ ვცანით, საქმის კურსში ჩაგვეყენებინეთ — ამ სიტყვებით მიგვიწვია პრეზიდენტმა თავის კაბინეტში იქვე იყვნენ სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცი გია ფირცხალავა.

მერაბ ჟორდანიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ დებულების და გარკვეული პრინციპების უგულებელყოფას სფფ არასდროს დაუშვებს და ეს გვითხრა:

— პირველი ლიგის გუნდებს შორის საქართველოს ჩემპიონატი ხვალ არ დაიწყება, რადგან 12 გუნდიდან მხოლოდ ოთხმა წარმოადგინა საწევრო თანხა. ქობულეთის „შუქურამ“ და ზესტაფონის „მეტალურგმა“ ჩემპიონატში სამონაწილეო 12 ათასი ლარი სრულად შემოიტანეს სფფ-ის სალაროში, „ხობმა“ და სამტრედიის „ოკეანემ“ კი — არასრული სახით, ამ ფაქტთან დაკავშირებით დღეს დილით სფფ-ს საგანგებო კომიტეტი შეიკრიბა და ჩემი აზრით, სერიოზული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ... ჩვენ გუნდები ამას წინათ კატეგორიულად გავაფრთხილეთ, რომ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საწევრო თანხის დროულად გადახდა იყო, რომელიც ბოლო თეთრამდე მსაჯების ხელფასებს უნდა მოხმარდეს.

ეს პრობლემა უმაღლესი ლიგის გუნდებმა როგორღაც გადაწყვიტეს, პირველ ლიგასთან დაკავშირებით კი სავალალო ფაქტის წინაშე დავდექით. დღეს ფაქტობრივად ჩვენს პირობებს ხუთი გუნდი აკმაყოფილებს. „ხობი“ და „ოკეანე“ ოთხშაბათს შეავსებენ სრულად საწევრო გადასახადს, „ცხინვალი“ კი, როგორც იცით, განთავისუფლებულია ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდისგან. დანარჩენი შვიდი გუნდის წარმომადგენლები დღეს და გუშინ გაუთავებლად გვირეკავდნენ ტელეფონზე, მოჰქონდათ წერილები, გვთხოვდნენ, რომ ჩემპიონატი დაგვეწყო და გვპირდებოდნენ, თანხას ნელ-ნელა გადავიხდითო, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ, გამონაკლისი არავისთვის დავუშვით. წესი წესია და მას ყველა უნდა ემორჩილებოდეს. ამიტომ ხვალ ჩემპიონატი არ დაიწყება. გუნდებს კიდევ ერთ შანსს მივცემთ. თუ 3 სექტემბრამდე, მეორე ტურის დაწყებამდე, თანხას წარმოადგენენ, ხომ კარგი, თუ არა და გათამაშებაში ვერ ჩაებმებიან. რაც შეეხება პირველ ტურს, იგი მოგვიანებით, სარეზერვო დღეებში ჩატარდება.

*— 3 სექტემბრამდეც რომ ვერ შეძლონ გუნდებმა 12 ათასი ლარის გადახდა?*

— ვერ შეძლებენ და ვერ ითამაშებენ.

*— კი მაგრამ, ხუთი გუნდით ხომ არ დაიწყებთ ჩემპიონატს?*

— ჩვენ გვაქვს იმის გარანტია და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება — 3 სექტემბრამდე თანხის გადამხდელი მინიმუმ 8 გუნდი მაინც გამოჩნდება. იმედი მაქვს, დღევანდელი პრესკონფერენცია სხვა გუნდებსაც გამოაფხიზლებს და საწევროს დროულად გადაიხდიან.

*— ესე იგი არ გამორიცხავთ, რომ შესაძლოა I ჯგუფში გათამაშება რვა გუნდს შორის ჩატარდეს?*

— შესაძლოა ასეც მოხდეს, მაგრამ არსებობს სარეზერვო ვარიანტი. გამოვაცხადებთ ტენდერს. თუ რეგიონალური ლიგის რომელიმე კლუბი ჩვენს პირობებს მიიღებს, მას დავრთავთ პირველ ლიგაში თამაშის უფლებას, მაგრამ იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა.



ბადრი ქობალაძის ფოტო

მერაბ ჟორდანია

*— საწევრო თანხა წარმოდგენილი არა აქვს წყალტუბოს „სამგურალს“, არადა, სფფ-ის ინფორმაციით, ეს გუნდი მზად იყო, ბოლო წუთამდე პრობლემამოძალებულ რუსთავის „გორდას“ ჩანაცვლებოდა უმაღლეს ლიგაში...*

— მართალი ბრძანდებით და ერთობ გაკვირვებულიც ვარ წყალტუბოელთა საქციელით. უცნაურია, გუნდი 22 ათასი ლარის გადახდას აპირებდა და 12 ათასს ვერ იხდის...

საუბარში სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ჩაერია — ამიტომაც გუნდებს მეტი პასუხისმგებლობა და საქმისადმი სერიოზულად მიდგომა მართებთ. ჩვენ კი ჩვენ პრინციპს არ ვუღალატებთ. გადაიხდიან, ითამაშებენ. თუ ისე მოხდა, რომ თორმეტივე გუნდის შემოსატანმა თანხამ ორშაბათს ან სამშაბათს მოიყარა თავი სფფ-ის სალაროში, ჩემპიონატი 3 სექტემბრამდე მაინც არ დაიწყება.

პრესკონფერენციაც ამით უნდა დასრულებულიყო, მით უფრო, რომ მერაბ ჟორდანიასთან შესახვედრად მისი კაბინეტის სიახლოვეს რამდენიმე პიროვნება იცდიდა, მაგრამ შემთხვევით ვისარგებლეთ და სფფ-ის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი თითო კითხვით კიდევ შევაწუხეთ.

*— ბატონო მერაბ, ამას წინათ, აღმასკომის სხდომის ბოლოს ჟურნალისტებმა ქართული გუნდების ევროსარბიელზე „მოღვაწეობის“ შეფასება გთხოვეთ. ვინაიდან მაშინ ეს პროცესი „ლოკომოტივს“ და „ვიტ ჯორჯიას“ დასრულებული არ ჰქონდათ, პასუხისგან თავი შეიკავეთ. რას გვეტყვით იმ ძირითად მიზეზებზე, რამაც ჩვენი გუნდების ფიასკო გამოიწვია?*

— უნდა ვაღიარო, რომ ასეთი ჩავარდნა ჩვენს კლუბებს არასდროს ჰქონდათ. ეს მართლაც ფიასკო იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათგან მნიშვნელოვანი წარმატებების იმედი არ გვქონდა, ასეთი სირცხვილი მაინც მოულოდნელი იყო. რაც შეეხება მიზეზებს, იგი მრავლადაა თავად კლუბებში და ჩვენშიც. კარგი იქნება და ჩემთვისაც საინტერესო, თუ წლევანდელ ევროსარბიელზე მონაწილე გუნდების მთავარი მწვრთნელები გააკეთებენ კომენტარს ამასთან დაკავშირებით. ისე კი, არ დაგიმალავთ, წლევანდელი ჩემპიონატის ერთობ მეიმედება. წესით 5-6 გუნდს შორის შეუპოვარი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს, ეს კი, ვფიქრობ, გარკვეულ პროგრესს მოგვიტანს და ჩვენი გუნდები მომავალ გათამაშებებში თავს არ შეირცხვენენ.

*— ბატონო ვალერი, გასულ კვირას დაგვპირდით, რომ „დინამოს“ კრიზისიდან გამოსაყვანად შექმნილი საკოორდინაციო საბჭო მუშაობას სამშაბათს დაასრულებდა და ამ დღეს ცნობილი გახდებოდა კლუბის მეპატრონის ვინაობა. ამასთან დაკავშირებით დღემდე არაფერი გადაწყვეტილა...*

— სამწუხაროდ, ეს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება. საკოორდინაციო საბჭომ მუშაობა დაასრულა. ჩვენ შევხვდით დინამოს საბჭოს და „ბერმუხას“ წარმომადგენლებს. ყველა საკითხი მოგვარებულია. მეექვსე დღეა, მზად ვარ საბოლოო შეხვედრისთვის, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი კახა თარგამაძე ვერ იცლის და მასთან შეხვედრა ვერ ხერხდება. ბატონმა მინისტრმა დღესაც რომ მოიცალოს, გარწმუნებთ, დღესვე გადაწყდება ყველაფერი.

**ბაათა ქვანტალიანი**

# მამუკა წერეთელი: მოგვატყუეს!

*ვლადიკავკაზის „ალანიის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ, ქართველი ფეხბურთელებისთვის, მიხეილ აშვეთიასა და მამუკა წერეთლისთვის, კლუბში დაბრუნების უფლება მიეცათ, რუსეთში ხმაური გამოიწვია. კიდევ ერთხელ მოკლედ შევახსენებთ საქმის არსს. რამდენიმე ხნის წინ „ალანიას“ ტრავმირებული ქართული დუეტი სამშობლოში დაბრუნდა სამკურნალოდ, თუმც მავან მენეჯერთა წინადადების შემდეგ აშვეთიამაც და წერეთელმაც დანიას მიაშურეს იქაურ კლუბში გასასინჯად. ამის შესახებ კი „ალანია“ არც გაუფრთხილებიათ, რამაც ვლადიკავკაზური კლუბის ხელმძღვანელები აღაშფოთა და მათაც ქართველების მკაცრად დასჯა გადაწყვიტეს. კერძოდ ჩვენებურებს უეფას დახმარებით სამუდამო დისკვალიფიკაციით დაემუქრნენ, თუმც ორი დღის წინ გადაწყვეტილება შეცვალეს. დასა კარგი ფული არ გვაქვს, ისევ მათი გაყიდვა გვირჩევნიაო, განაცხადა „ალანიას“ გენერალურმა დირექტორმა ბათრაზ ბითაროვმა. მიუხედავად ამისა, მიხეილ აშვეთია ვლადიკავკაზში ჩასვლას კვლავაც უარობს, თბილისში ყოფნა-მზადებას აპირებს. მამუკა წერეთელი კი ჩრდილოეთ ოსეთში ოთხშაბათს ჩავიდა და კლუბთან ერთადაც ვარჯიშობს. გუშინ კი „სპორტ ეკსპრესს“ ეს ინტერვიუ მისცა:*

**— როგორ მოხდა, რომ დანიაში ისე წაზვედით, ალანიელებს სიტყვაც არ უთხარით?**

— მე და მიხეილ აშვეთია თბილისში ტრავმებს ვმკურნალობდით. მენეჯერებმა მოგვძებნეს, რომლებიც ქართველი ფეხბურთელების საზღვარგარეთულ კლუბებში მოწყობით არიან დაკავებულნი და გვითხრეს, რომ დანიაში ჰქონდათ კარგი ვარიანტები. მხოლოდ წასვლაა საჭირო, „ალანიასთან“ მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და ყველა საკითხი გადაწყვეტილიაო, გვაუწყეს.

**— ასეთი წინადადება საეჭვოდ არ მოგეჩვენათ?**

— ჩვენ ვენდობოდით ამ ხალხს. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ მათ მოგვატყუეს. რამდენიმე დღის შემდეგ კოპენჰაგენშილა გავიგეთ, რომ „ალანიასთან“ არც ერთი ქართველი მენეჯერი მოლაპარაკებას არ აწარმოებდა.

**— წასვლის წინ ვლადიკავკაზში გადარეკვა და ყველაფრის დაზუსტება არ გიცდიათ?**

— სამწუხაროდ, ამაზე არ გვიფიქრია.

**— სად იყავით გასასინჯად?**

— მე „ბრონდბიუში“. იქ ხუთი დღე დავყავი, მხოლოდ ერთხელ ვივარჯიშე. კლუბის პრეზიდენტს ვესაუბრე. აშვეთია კი სხვა კლუბში იყო. კერძოდ, „კოპენჰაგენში“. მერე თბილისიდან დაგვირეკეს და „ალანიის“ პროტესტის შესახებ გვამცნეს. ჩვენც მაშინვე თბილისში დავბრუნდით. ასე რომ, დანიელებმა წესიერად ვერც შეგვამოწმეს.

**— თბილისში ჩასულებმა კი შეიტყვეთ, რომ „ალანია“ თქვენი ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დასჯას ცდილობდა. როგორ შეხვდით ამ ამბავს?**

— ძალიან საწყენი იყო, რომ ქართველი აგენტების ანკესზე წამოვეგეთ. თანაგუნდელებისაც გვრცხვენოდა. ვერც კი ვბედავდით ვლადიკავკაზში დარეკვას, რადგან ვიცოდით, აქ ყველა ჩვენ გვადანაშაულებდა. ისიც შევიტყვეთ, რომ ვლადიკავკაზში ჩვენს დანიაში გამგზავრებას „ალანიას“ ყოფილ მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევს მიაწერდნენ. ეს ტყუილია. გუცაევი არაფერ შუაშია, თუმც იმ ქართველი აგენტების ვინაობას გამხელა არ მინდა.



ბადრი ქობალაძის ფოტო

მამუკა წერეთელი „ალანიაში“ დაბრუნდა

**— თქვენი დაბრუნების შემდეგ თქვენდამი „ალანიის“ დამოკიდებლობის შეცვლაში გუცაევმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.**

— გუცაევმა ახლახან ქუთაისის „ტორპედოში“ საკმაოდ მაღალი თანამდებობა დაიკავა. მან ჩვენ დროებით ამ გუნდში თამაში შემოგვთავაზა, ამიტომაც ცდილობდა, „ალანიას“ ხელმძღვანელობას აზრი შეეცვალა.

**— დროებით „ტორპედოში“ თამაშის მერე რას აპირებდით?**

— გამორიცხული არ იყო, დანიაში წასვლის ვარიანტი კვლავ გამოგვჩენოდა.

**— ყველაფერი რომ ისე ყოფილიყო, როგორც გუცაევი ამბობდა?**

— ქუთაისში თამაში მე არ მინდოდა. „ტორპედოს“ და „ალანიას“ შედარებაც კი არ შეიძლება. აი, დანია სხვა ამბავია. მომეწონა „ბრონდბიუ“. თანაც შორეულ უცხოეთში მინდა წასვლა. მაგრამ ამაზე საუბარს რაღა აზრი აქვს. დანიაში ხომ გაიგეს, როგორ მოვხვდით მათთან. ამის შემდეგ ჩვენთან საქმის დაჭერაზე ალბათ აღარც იფიქრებენ. თანაც „ტორპედო“ და „ალანიაც“ ვერ მორიგდნენ.

**— „ტორპედოში“ ვარჯიშობდით?**

— არა, ქუთაისში არც ვყოფილვარ. უბრალოდ ველოდი, რას გადაწყვეტდნენ კლუბის ხელმძღვანელები.

**— მართალია, ვლადიკავკაზელებმა ქუთაისში არ გაგიშვეს, მაგრამ მკაცრი გადაწყვეტილება შეცვალეს და „ალანიაში“ დაბრუნების ნება მოგცეს...**

— ამისთვის მათი დიდი მადლობელი ვარ. ჩამოვედი თუ არა, ბიჭებსაც მოვუბოდიშე. ყველა თანაგუნდელთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ძალიან მინდა, ყველაფერი ძველებურადვე დარჩეს. ახლა ვვარჯიშობ. ყველანაირად ვეცდები, მთავარი მწვრთნელის ალექსანდრ ავერიანოვის ნდობა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიბრუნო.

**— „ალანიას“ ხელმძღვანელობამ ამასთანავე განაცხადა, რომ სეზონის შემდეგ აშვეთიასა და თქვენ ყველა შემთხვევაში ტრანსფერზე დაგაყენებენ. გამოდის, ბოლომდე არ გაპატიეს?**

— ასე გამოდის. მაგრამ რაც იყო, ვეღარ შევცვლით. ამასთანავე ჩემპიონატის შემდეგ ვლადიკავკაზელებთან კონტრაქტი მისრულდება. გაგრძელების წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, თუმცა... ჩემი მთავარი მიზანი ახლა შემადგენლობაში დამკვიდრება და იმ გუნდისთვის დახმარებაა, რომელშიც ჩემი კარიერის ორი საუკეთესო წელი გავატარე. ახლა ჩემპიონატიც ღირსეულად უნდა დავამთავროთ და უეფას თასზეც კარგად დავიწყოთ.

**— სათამაშო ფორმა არ დაკარგეთ?**

— ვფიქრობ, არა. ინდივიდუალურად ვემზადებოდი. საქართველოს ნაკრებშიც ვითამაშე ირანის წინააღმდეგ.

**— აშვეთია რატომ არ დაბრუნდა ვლადიკავკაზში?**

— თბილისში როგორც ამტკიცებენ, „ალანიამ“ აშვეთია თბილისის „დინამოსგან“ სეზონის ბოლომდე ითხოვა. ის, როგორც ვიცი, ვლადიკავკაზში ჩამოსვლას აღარ აპირებს. არენდის ვადის გასვლის შემდეგ კი დანიაში გამგზავრებას გეგმავს. ისე, ვლადიკავკაზში სხვას ამბობენ. აქაური ინფორმაციით, აშვეთია „ალანიას“ 2002 წლის ბოლომდე ეკუთვნის. ამის განსჯა ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მე ან ინძაგი

## ზიდანი პლატინიზე მეტია

**დავიდ ტრეზეგე** მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია. სწორედ მან გაიტანა ევრო 2000-ის ფინალში, იტალიის ნაკრების კარში ოქროს გოლი, ხოლო ერთი კვირის წინ, საფრანგეთისა და მსოფლიოო ვარსკვლავთა შეხვედრაში ჰეთ თრიკი შეუსრულა.

ერთი სიტყვით, არგენტინული წარმოშობის ფრანგს სანაკრებო დონეზე ახალგაზრდობაშივე ყველა ტიტული აქვს მოპოვებული. საინტერესოა, რას აპირებს მომავალში, საკლუბო დონეზე, მით უფრო, რომ მისი ახალი კლუბი არც მეტი, არც ნაკლები „იუვენტუსია“?

*„ამაზე პასუხი ადვილია. მე სკუდეტოს მოგება მინდა“* — ამბობს ტრეზეგე — *„იტალიის ჩემპიონობა ძნელი მისაღწევია. იგი მთელი წლის შრომის დაგვირგვინება უნდა გახდეს. და, გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ვოცნებობ. ვგონებ, გუნდი, რომელშიც გადავედი, საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, ორივე შეჯიბრებაში ტრიუმფზე რომ იფიქროს“.*

ჯერჯერობით ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მომავალ სეზონში ტრეზეგე „ბებერი ქალბატონის“ ერთ-ერთი მთავარი ძალა იქნება. მაგალითად, კლუბის ოფიციალური საინტერნეტო ვებგვერდის ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ქომაგთა 48,5 პროცენტს ანუ 16 ათას ადამიანზე მეტს, ფრანგის როლი „იუვეს“ მომავალ წარმატებებში საკმაოდ დიდი ჰგონია.

ზემოხსენებულ საჩვენებელ შეხვედრაში — საფრანგეთი მსოფლიოს ნაკრების წინაალმდეგ — ტრეზეგემ სამივე გოლი აუღელვებლად, თავდაჯერებით გაიტანა.

*„ერთ შეხვედრაში სამჯერ ადრეც გამიტანია. ეს საფრანგეთის ჩემპიონატში მოხდა, „მონაკოში“ ვთამაშობდი, მოწინაალმდეგე კი „მონპელიე“ გახლდათ. მორედაც „მონაკოს“ შემადგენლობაში გავიტანე, ოღონდ „ლინსის“ კარში.“*

ტრეზეგეს კარიერა, შეიძლება ითქვას, ახალი დაწყებულია, მაგრამ როგორ დაიწყო...

*„დიახ, ახლა საუკეთესო დროება მაქვს. ჯერ იყო და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, მერე ევროპის, ბოლოს კი „იუვენტუსში“ გადავედი. ძალიან დიდი მონდომებით ვაპირებ ვარჯიშს, და ვიცი, რაც მაქვს ყველაფერი უნდა გავიღო, რათა მწვრთნელს ჩემი ძირითადი შემადგენლობაში თამაში უნდოდეს!“*

ეჭვი არაა, მართლაც მოინდომებს ტურინელთა ახალი შენაძენი, მაგრამ „იუვენტუსის“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის რომ არჩევანი დიდი აქვს და ფიქრიც გვარიანი მოუხდება, ფაქტია.

*„ჯერჯერობით, როგორც ვარჯიშებისა და ამხანაგური თამაშების დროს გამოჩნდა, ზინედინ ზიდანისა და ალესანდრო დელ პიეროს მხარდამხარ საკმაოდ კარგად ვთამაშობ. იცით, დელ პიეროს მანერა ძალიან მაგონებს მარკო სიმონესას, რომელთანაც „მონაკოში“ კარგად ვიყავი შეთამაშებული. ფილიპო ინძაგის გვერდით კი „ჩეზენაში“ მომისინჯავს ძალა და უნდა ვაღიარო, რომ მასთან შეწყობა ცოტა მიჭირს, რადგან მე და ის დაახლოებით ერთნაირ ფეხბურთს ვთამაშობთ. თუმცა, საბოლოოდ ყველანი მწვრთნელის განკარგულებაში ვართ და ვინ ითამაშებს და ვინ არა, მან უნდა გადაწყვიტოს.“*

რაც შეეხება ტიტულს, რომელსაც ტრეზეგე ნამდვილად ვერ მოიგებს, ეს წლის საუკეთესო ფეხბურთელობაა. „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთს“, საყოველთაო აზრით მისი თანამემამულე და როგორც ნაკრებში, ასევე კლუბში თანაგუნდელი, ზინედინ ზიდანი მოიპოვებს.

*„დღეს იგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. მე ვიტყოდი, მიშელ პლატინიზე მაღლაც კი დგას, რადგან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მესმის, რომ პლატინის სახელთან ფრანგული ფეხბურთის მთელი ეპოქაა დაკავშირებული, მაგრამ მერწმუნეთ, ზიზუც ნამდვილი კერპია.“*

**მიხეილ სურგულაძე**



დავიდ ტრეზეგე

# ნას კაკოიც მიაძახა

**არსენ ვენგერს** შეიძლება 12 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცენ. „არსენალის“ მწვრთნელს სანდერლენდში „ლაითის“ სტადიონზე 0:1 წაგებული თამაშის შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მეოთხე მსაჯი, მავანი პოლ ტეილორი კინალამ შემოლახვია. ეს 19 აგვისტოს ამბავი გახლავთ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში კი ფრანგის საქმის გარჩევა ამ დღეებში დაიწყეს.

ზემოთ რომ 12 თამაში ვახსენეთ, ჰაერიდან არ მოგვიტანია, ახალი წესების თანახმად აღწერილ დანაშაულს სწორედ 12 მატჩიანი მოკვეთა და ზედაც ოთხი კვირის ხელფასის დაქვითვა შეეფარდება.

ამბობენ, ვენგერის გაბრაზების საბაბი პატრიკ ვიეირას გაძევება იყოო. გეხსომებათ, რომ ვიეირა ორი დღის შემდეგ ლივერპულშიც გააძევეს, „ჰაიბერიზე“ 2:0 მოგებული თამაშის დროს.

საკუთრივ ვენგერი მსაჯზე მუშტებით გაწევის ფაქტს კატეგორიულად უარობს, თუმცა გამოძიება გრძელდება, რადგან ტეილორი უჩივის. საქმის გარკვევას კი ჯერჯერობით, შობამდე ნუ ელით.

# პარმას გულშემატკივრები ზაფხულზე გამდიდრდებიან

***ფაბიო კანავარო ევრო 2000-ის შემდეგ განსაკუთრებით ცნობილი გახდა და მის აზრსაც, შესაბამისად, ერთიორად დაედო ფასი. დღეს, როდესაც იტალიურ კლუბებს მოსამზადებელი პერიოდი უდგათ და ჩემპიონატამდე თვე და რამდენიმე დღე აშორებთ, მთელი ყურადღება ამხანაგურ თამაშებზეა გადატანილი. ასეა „პარმაც“ კანავაროს... უკაცრავად, ძმები კანავაროების, ფაბიოსა და პაოლოს გუნდიც, თუმცა, ამაზე ქვემოთ შევიტყობთ.***



ფაბიო კანავარო

**— ფაბიო, „პარმა“ მოსამზადებელ პერიოდში ფაქტობრივად სამ დღეში ერთხელ ატარებს ამხანაგურ შეხვედრას. ნუთუ ეს ფორმაში შესვლის საუკეთესო მეთოდია?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან უამრავი ახალი ფეხბურთელია და მათ ერთმანეთთან შეგუება სჭირდებათ, ხშირად თამაში მართლაც საუკეთესო მეთოდი უნდა იყოს. გარდა ამისა, თქვენს მიერ ნახსენებ ამხანაგურ შეხვედრებში ხომ ერთი და იგივე შემადგენლობა თითქმის არ მონაწილეობს, რაც ყოველ ჩვენთაგანს ინდივიდუალური გეგმით მუშაობის საშუალებასაც გვაძლევს.

**— ამრიგად, პირველ ოქტომბერს, ჩემპიონატის პირველ ტურში, შინ „ფიორენტინას“ წინააღმდეგ სრულყოფილად მომზადებულ „პარმას“ ვიხილავთ?**

— პირველ ოქტომბრამდე დრო საკმაოა. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა მალიმალ გვეუბნება, რომ მოსამზადებელი პროცესით კმაყოფილია, ასე რომ, ჩემი აზრით, საგანგაშო არაფერი უნდა იყოს.

**— მართლაც, მწვრთნელმა ალბერტო მალესანიმ ბოლო ამხანაგური შეხვედრის შემდეგ განაცხადა, თამაშით კმაყოფილი ვარო და დასძინა, რომ „პარმას“ განვითარება სწორედ. ამ გზით სურს...**

— აშკარაა, რომ იგი ტაქტიკურ მხარეს გულისხმობდა. ვარჯიშებზე ამ მხრივ მართლაც ბევრს და კარგად ვმუშაობთ. ის კმაყოფილია როგორ ღრმავდება მოთამაშეთა ურთიერთგაგება, თუმცა ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით წინ დიდძალი საქმე რომ გველის, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

**— „პარმას“ ახალი შენაძენი, ფრანგიიონ მიკუ აშკარად ის კაცი ჩანს, ვინც გუნდის თამაშს ხელს დაატყობს. იქნებ მისი შემწეობით ახალ სეზონში უფრო შემტევი ფეხბურთი ითამაშოთ?**

— მგონი, გასულ სეზონთან შედარებით უფრო მაღალი კლასის გუნდი გვეყოლება. კლასი კი, მოგეხსენებათ, საკუთარი თავის რწმენასა და მიზნებისკენ ჯიქურ სვლას ნიშნავს. არ გამოვრიცხავ, რომ ამიერიდან ჩვენს თამაშში მთავარი სწორედ ეს გახდეს და არა, ვთქვათ, ტაქტიკა ან რომელიმე ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობა.

**— კი მაგრამ, მეორე მხრივ კლასი ხომ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობიდან მოდის?**

— დიახ, ახლა უწინდელთან შედარებით გაცილებით მეტი დიდი ოსტატი გვყავს და უფრო ხმამაღლაც შეგვიძლია საკუთარი ამბიციების გამომჟღავნება. ამ ამბიციის საქმეში გამოყენება — აი, ეს არის კლასი.

**— თქვენმა უმცროსმა ძმამ, პაოლომ, ამასწინათ სპანიოლის თასზე „ჭენოას“ კარში ბრწყინვალე გოლი გაიტანა. ეს გოლი იმის ნიშანი ხომ არაა, რომ ის ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო ხშირად უნდა გამოჩნდეს?**

— იმედი მაქვს, რომ პაოლოს კარგი სტარტი ექნება და თავის ნიჭს გამოამჟღავნებს, თუმცა მოდით ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და დალვინება აკლია. ისე კი, ცხადია, სეზონის წინა ამხანაგურ თამაშებში მონაწილეობა ძლიერ წაადგება.

**— ბუქმეიქერებმა კი ამასწინათ ფსონები შეადგინეს და „პარმა“ დიდ ფავორიტთა შორის მხოლოდ და მხოლოდ მეექვსე გუნდად ჩაწერეს. ეს ამბავი გაღიზიანებთ?**

— არა. სხვათა შორის, ჩვენს ქომაგებს შეუძლიათ დღეს ფული დადონ და სეზონის ბოლოს გვარიანად მოიგონ.

**თარგმნა ბაბუნა ბიდიამ**

# საცა არა სჯობს, გაცვლა სჯობს

**პარმა** ხანია ვიუწყებით მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობასა და სტივ მაკმანამანს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე. ინგლისელი ვისენტე დელ ბოსკეს ტაქტიკურ გეგმებს ველარ ერგება და „სამეფო კლუბი“ ნახევარმცველის გაყიდვას აპირებს. მსურველებიც მრავლად არიან, ძირითადად ინგლისური კლუბები. ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაინტერესდა, სულ ახლახან კი „ჩელსიმაც“ წამოყო თავი. ლონდონელებმა მადრიდელებს შეუთვალეს, თუ მაკმანამანის გაყიდვას დააპირებთ, ჩვენ ნუ დაგვივიწყებთო. სტივის ტრანსფერის საქმე კი ჯერაც არ გადაწყვეტილა. მას არც ათამაშებენ და ვერც ვერსად მიდის.

საინტერესო წინადადებით გამოვიდა „ლაციო“. თუ ერთ-ერთ სააგენტოს ვენდობით, რომაელებს მადრიდელებისთვის შეუთავაზებიათ, ეგებ მაკმანამანი და მარსელო სალასი ერთმანეთში გაგვენაწილაო. გაცნობეთ კიდეც, „სამეფო კლუბმა“ ჩილელი ფორვარდის შეძენა რომ განიზრახა და თანახმაა, სანაცვლოდ 25 მილიონი დოლარი გადაიხადოს. იმასაც ამბობდნენ, სალასის აგენტი „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან აპირებს შეხვედრასო.

სალასზე პოპულარული ესპანური გამოცემა „მარკაც“ წერს და ირწმუნება, მას შემდეგ, რაც ფერნანდო მორიენტესი დაიმტვრა და ეგებ ორ თვესაც ვერ ითამაშოს, „რეალი“ ახალ ფორვარდს ეძებს და გზა-კვალს რომისკენ მივყავართ, სადაც მადრიდელებს ჩილელი მატადორი ეგულებათო.

„ლაციომ“ წლეულს ორი არგენტინელი ფორვარდი, კლაუდიო ლოპესი და ერნან კრესპო შეიძინა. შედეგად სალასი თითქოს ჩრდილში მოექცა და ერთხანს მის კლუბის გამოცვლაზეც კი ალაპარაკდნენ. ფორვარდს „პარმა“ ეპატიჟებოდა, თუმცა შეთანხმება ჩაიშალა და სალასი კვლავ „ლაციოში“ დარჩა, რაც შემდგომში თავად რომაელთა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ კმაყოფილებით აღნიშნა.

სალასის აგენტი, მავანი გუსტავო მასკარდი კიდევ უფრო ხლართავს ქსელს: „არა მარტო „რეალიდან“, „არსენალიდანაც“ შეგვეხმიანენ და მარსელოს ლონდონში გადასვლა შესთავაზეს. „მეთოფეები“ ხელსაყრელ პირობებს და ოთხწლიან კონტრაქტს გვთავაზობენ“. ასეა, როცა საქმე კლუბიდან ფეხბურთელის გაშვებას ეხება, იწყება გაუთავებელი ლაპარაკი, მსჯელობა, ერთი კლუბი ამდენს იხდის, მეორე იმდენსო. მერე აგენტებიც გამოიდებენ თავს და ერთს ათად აქცევენ.

მაკმანამანი კი დელ ბოსკემ ევროპის სუპერთასის შეხვედრაში არ იახლა და „რეალი“ „გალათასარაის“ მატჩის განაცხადში არ შეიყვანა. ამაზე სტივი ახსნა-განმარტებას ითხოვს.

„ვგონებ, კლუბისგან ოდნავ დაფასებას მაინც ვიმსახურებ. უნდა ამიხსნან, რატომ არ წამიყვანეს მონაკოში“. მალე ჩემს აგენტთან ვაპირებ საუბარს და ალბათ მასთან ერთად მოვიფიქრებ, რა აჯობებს“.

ახლა „რეალის“ კიდევ ერთ ლეგიონერ სავიოზეც ვთქვათ. ბრაზილიელს თურმე „ჩელსიში“ ეპატიჟებიან, ლონდონელები კი სანაცვლოდ 13 მილიონ დოლარს იხდიან. „სამეფო კლუბიც“ თანახმაა, სავიო გაუშვას, თუმცა სანაცვლოდ ნორვეგიელ ფორვარდ ტორე ანდრე ფლოს სთხოვს. „რეალი“ ფლოს კარგა ხანია, აკვირდება, თუმცა „ჩელსი“ ფულს ამჯობინებს. თანხა კი მადრიდულ კლუბს ეძვირება.

26 წლის სავიო იტალიურ პასპორტს ფლობს, ამიტომ ევროკავშირული შეზღუდვა მასზე არ ვრცელდება. ჯანლუკა ვიალი ბრაზილიელით დაინტერესდა და ეგებ მალე ლონდონშიაც გადაიბიროს.

დაბოლოს, „რეალის“ თემა ამოვწუროთ „სპორტინგის“ პორტუგალიელ ფორვარდ რიკარდუ ზა პინტუთი. მიხვედრილებით, „სამეფო კლუბს“ მისი შეძენა სურს, არადა, ამ ფეხბურთელმა ესპანეთი სულ ახლახან დატოვა. იგი „რეალ სოსიედადიდან“ „სპორტინგს“ შეუერთდა.

ვისენტე დელ ბოსკეს დიდი სურვილია, ლუიშ ფიგუს შეტევაში მისი თანამემამულე ზა პინტუ შეუწყვილოს და მწვრთნელს „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტიც უჭერს მხარს.

„ნათელია, რომ ზა პინტუ მალე „რეალის“ მოთამაშე გახდება — ირწმუნება ფლორენტინო პერესი — „სპორტინგის“ ხელმძღვანელებს შევუთანხმდებით. არ გამოვრიცხავ სანაცვლოდ ლისაბონში ორი რეალელი — როდრიგო ფაბრი და პერიცა ოგნიენოვიჩი გავუშვათ. თუმცა ეს ყველაფერი ამ თვეში, ჩემპიონთა ლიგაში განაცხადების შეტანის ბოლო ვადამდე უნდა მოგვარდეს“.

# დიდი დაპირისპირება

## ჩემპიონთა ლიგა მონაკოში დაახარისხეს

**როგორც** ყოველთვის, ფორტუნამ ამჯერადაც გაათამაშა თავისი საყვარელი სცენარი: ზოგ ჯგუფში უფრო ძლიერთ მოუყარა თავი, ზოგან კი შედარებით ნაკლებტიტულოვანნი შეკრიბა. წესად იქცა, ძლიერებისგან შედგენილ ჯგუფს სიკვდილისას უწოდებენ ხოლმე. ეს გამოთქმა თავიდან მართლაც ჭრიდა ყურს, ბოლო დროს კი ხშირი გამეორებისაგან გაუფერულდა, მაგრამ ემოცია და საინტერესო ბრძოლების მოლოდინი ძველებური რჩება. მართლაც და შეუძლებელია განსაკუთრებული ინტერესის გარეშე ჩაიკითხო ახლანდელი H ჯგუფის შემადგენლობა: „ბარსელონა“, „მილანი“, „ლიდს იუნაიტედი“, „ბეშიქთაში“.

ამ ჯგუფში დიდი ინტრიგაა ჩახლართული. ერთი მხრივ გუნდების ძლიერება იპყრობს ყურადღებას. „ბარსელონასა“ და „მილანზე“ დიდხანს შეჩერება არც ღირს. ამ სუპერკლუბთა სახელები თავისთავად მეტყველებენ ყველაფერს. „ლიდს იუნაიტედი“, მოგეხსენებათ, ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რომლის ყმაწვილმა მოთამაშეებმა უკვე მოიპოვეს ფეხბურთით დაინტერესებული მსოფლიოს ყურადღება, ხოლო „ბეშიქთაში“ თუმც საერთაშორისო სარბიელზე უტიტულო, მაგრამ ბოლოხანს გაძლიერებული თურქეთის წარმომადგენელია. და თუ რას ნიშნავს თურქეთის გუნდი, შორს ნუ წახვალთ, იქვე, „მილანს“ ჰკითხეთ. გასულ სეზონში ხომ სწორედ თურქულმა „გალათასარაიმ“ დაატოვებინა სახელოვან შავ-წითლებს ჩემპიონთა ლიგა პირველსა ეტაპზე, ხოლო შემდეგ, თავადაც გავარდნილი უეფას თასზე გადაერთო და ბოლომდე ტრიუმფით იარა.

და კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ინტრიგა: „ლიდს იუნაიტედს“ კვლავ სტამბოლში მოუწევს ჩასვლა, სტამბოლი კი სწორედ ის ქალაქია, სადაც გაზაფხულზე ლიდსელთა ორი ქომაგი ქუჩურ ჩხუბში სიცოცხლეს გამოასალმეს. მას მერე ინგლისელ და თურქ გულშემატკივართა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, ასე რომ საფეხბურთო ევროპა მორიგი შეტაკების საშიშროების წინაშე დგას.

„პირადად დავესწრები ორივე შეხვედრას ლიდსსა და სტამბოლში“ — განაცხადა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა. „იუნაიტედის“ თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა კი თქვა: „ჩვენი ლოზუნგი ასეთია: დროა სპორტმა გაიმარჯვოს და ვიმედოვნებთ, რომ მომავლის იმედიანად ცქერაში ყველა დაგვეხმარება. თავისთავადაც ძალიან ძლიერი ჯგუფი შეიკრა, ხოლო ჩვენთვის ამას სტამბოლში დაბრუნების სიმძიმეც ემატება.“



REUTERS

მონაკოს „კონგრეს“ სასახლეში უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა (მარცხნივ) და უეფას აღმასკომის წევრმა, ფრანგმა ჟან ფურნე-ფეიარმა ლიგას წილი უყარეს

თასის მფლობელს, მადრიდის „რეალს“, ფორტუნამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეს, 7 ნოემბერს, მოსკოვში „სპარტაკთან“ თამაში უბრძანა, თუმცა პირველად A ჯგუფის ფავორიტს მეზობლად, ლისაბონში „სპორტინგთან“ უწევს თამაში.

„პორტუგალიურ ფეხბურთზე ყველაფერი ვიცით, ყველა კლუბს ვიცნობთ, ხოლო „პორტუს“ წინააღმდეგ გასულ წელს ვითამაშეთ და გარდა ამისა ჩვენს ვარსკვლავს ლუიშ ფიგუს თანამემამულეთა წინაშე გამოსვლის საშუალება მიეცემა“ — ბრძანა „რეალის“ ახალმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა.

ჩამოთვლილთა გარდა A ჯგუფში ლევერკუზენის „ბაიერიც“ ითამაშებს.

**სტამბოლის** „ულქერმა“ თურქული გუნდებიდან ყველაზე ადრე დაიწყო მზადება ახალი სეზონისთვის. ულქერელებმა თითქმის ერთი თვის წინ საბოლოოდ დააკომპლექტეს შემადგენლობა და ახლა საკონტროლო მატჩებს მართავენ. მაშინ, როცა თურქეთის დანარჩენი გუნდები ტრანსფერებზე ფიქრობენ, „ულქერმა“ ერთი ტურნირი უკვე მოილია და ამჟამად იტალიაშია შეკრებაზე.

განახლებულ „ულქერში“ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ. გუნდის მთავარი მწვრთნელი მურათ დიდინი კვლავინდებურად ენდობა ჩვენებურ ყმაწვილს და ყველა საკონტროლო შეხვედრაში ათამაშებს. სტამბოლში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე „ულქერმა“ დაამარცხა პოლონეთის „სლუპსკი“, სლოვენიის ჩემპიონი ნოვო მესტოს „კრკა“ და თურქეთის „ისთანბულსფორი“. ფაჩულიამ ყველას წინააღმდეგ ითამაშა, პოლონელებთან უქულოდ დატოვა მოედანი, „კრკას“ ექვსი ქულა ჩაუგდო, ხოლო „ისთანბულსფორს“ — ათი.

სტამბოლის ტურნირის დასრულებისთანავე „ულქერი“ გაემგზავრა იტალიის ქალაქ ბორმიოში, სადაც რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს. პირველ შეხვედრაში სტამბოლელები იტალიის მეორე ლიგის ბინადარ „კასტელმაჯორეს“ დაუპირისპირდნენ და 89:67 დაამარცხეს. ფაჩულია ოთხი ქულით შეეწია თავის გუნდს. „ულქერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ერდოგანი (19), გოლიოვიჩი (15), ჰენდლოგტენი (15), ლოლისი (13), გონლუმი (10), აჩიკი (7), ფაჩულია (4), იანარი (4), შაჰინი (2).*

ლიუბლიანის „ოლიმპია“ კი შინ ამხანაგურად ეთამაშა პოლონეთის ჩემპიონს, სუპერლიგის ბინადარ ვროცლავის „ცეპტერს“. ლიუბლიანელებმა 83:62 გაიმარჯვეს, ხოლო საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ სამი ქულა გააკეთა. „ოლიმპია“ გუშინ პოლონეთს გაემგზავრა, ხოლო „ცეპტერს“ ამ შემადგენლობით დაუპირისპირდა: *ბეჩიროვიჩი (20), ბრეჟეცი (12), კოვაჩიჩი (11), კოტნიკი (9), ჯორდანი (9), არსიჩი (8), გოლემაცი (5), ბოისა (3), უდრიჰი (2), ველში (2), ზაგორაცი (2).*

# შესარჩევი კადეტები

**დასრულდა** ევროპის კადეტთა 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. მატჩები ხუთ ჯგუფში მოეწყო და გამოვლინდა ის თხუთმეტი გუნდი, რომელიც შესარჩევ ეტაპზე იასპარეზებს. ქართველი კადეტები, მოგეხსენებათ, დიდებულად გამოვიდნენ ბულგარეთში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირზე, ყველა მატჩი მოიგეს და პირველებმა დაიგულეს თავი შესარჩევ ეტაპზე. ეს უფლება აგრეთვე მოიპოვეს: *ისრაელმა, იტალიამ, ესპანეთმა, ბელგიამ, გერმანიამ, რუსეთმა, სლოვენიამ, ინგლისმა, სლოვაკეთმა, უკრაინამ, ხორვატიამ, ლიტვამ, პოლონეთმა და ფინეთმა.*

შესარჩევი ეტაპის მატჩები სამ ჯგუფში გაიმართება. თითოეულში ხუთი გუნდი იქნება და ფინალურ ეტაპზე სამი საუკეთესო გავა. შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა წლის ბოლოს მოეწყობა, ხოლო მატჩები 2001 წლის აპრილში გაიმართება. საქართველოს ნაკრებს ნებისმიერი ზემოჩამოთვლილი გუნდი შეიძლება შეხვდეს.

ფინალური ეტაპი 2001 წლის ზაფხულში გაიმართება ლატვიაში. შესარჩევი ეტაპიდან გასულ ცხრა გუნდს დაემატება ლატვია (მასპინძელი), იუგოსლავია (წინა ჩემპიონი) და საბერძნეთი (წინა ვიცე-ჩემპიონი) და ევროპის კადეტთა ჩემპიონის ტიტულისთვის თორმეტი ნაკრები იბრძოლებს.


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23


## ევროპული ამბები

### ისრაელი

# ნახვამდის, ჯამჩი!

**ისრაელის** ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დორონ ჯამჩი კალათბურთიდან წავიდა. თელ ავივის „მაკაბის“ უკანასკნელმა მშობლიურ ქალაქ რამათ განში პრესკონფერენცია მოიწვია და საზოგადოებას თავის გადაწყვეტილება გაანდო.

39 წლის ჯამჩი ისრაელური კალათბურთის სიმბოლო და ლეგენდაა. იგი ლამის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. ჯამჩი დიდი ხნის განმავლობაში კაპიტნობდა ისრაელის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაშიც ითამაშა 191 მატჩი, გააკეთა 3515 ქულა და მონაწილეობა მიიღო ევროპის შვიდ ჩემპიონატში. სამივე მაჩვენებელი ეროვნული რეკორდია. დორონი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივად ზუსტი სროლებით, რომელთა სიმწარეც ქართველ კალათბურთელებსაც ახსოვთ — 1995 წელს თბილისის სპორტის სასახლეში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, ისრაელმა, ჯამჩის წინამძღოლობით, მეტად დრამატული მატჩი მოუგო საქართველოს.


დორონ ჯამჩი

ჯამჩი 14 წლის იყო, როცა რამათ განის „მაკაბიში“ ჩაირიცხა. 1985 წელს თელ ავივის „მაკაბიში“ გადავიდა, სადაც თერთმეტი წელი დაჰყო. 1996 წელს დორონი რიშონ ლე ციონის „მაკაბიში“ გადაბარგდა, ხოლო სამი წლის შემდეგ კვლავ თელ ავივურ გუნდს დაუბრუნდა, სადაც თავის ბოლო სეზონი ითამაშა. ჯამჩის ყველა წარმატებაც სწორედ თელ ავივის „მაკაბისთანაა“ დაკავშირებული: თერთმეტჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და შვიდჯერ მოიპოვა თასი. ოთხჯერ ითამაშა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში, ოღონდ წარმატებას ვერცერთხელ ვერ მიაღწია: „მაკაბი“ 1987 და 1988 წლებში მილანის „ტრეისერთან“ დამარცხდა, 1989 წელს — სპლიტის „იუგოპლასტიკასთან“, ხოლო 2000 წელს — ათენის „პანათინაიკოსთან“. სწორედ ამ ფაქტორმა ვერ აქცია ჯამაჩი ისრაელის უპირველეს მოთამაშედ — ამ არაოფიციალურ ტიტულს ჯერჯერობით ლეგენდარული ებრაელი კალათბურთელი მიკი ბერკოვიჩი ინარჩუნებს, რომლის მეთაურობითაც „მაკაბიმ“ 1977 და 1981 წლებში მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

პრესკონფერენციაზე ჯამჩიმ განაცხადა, რომ ფიზიკური მომზადებით ბევრს არ ჩამოუვარდება, მაგრამ მწვრთნელები უფრთხიან მის ასაკს და ამიტომაც დიდხანს აღარ ათამაშებენ. კარგი იქნებოდა, ჩემი გამოცდილება მეტად გამოეყენებინათ, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ასეთ დროს ყველაზე კარგი გამოსავალი კალათბურთიდან წასვლააო, დასძინა მან.

ჯამჩიმ მადლობა მოახსენა ყველას, ვისთანაც კი უმუშავია ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში. არ დაუკონკრეტებია, რას გააკეთებს მომავალში, თუმცა აღნიშნა, ოჯახს მეტ დროს დავუთმობო. მას დიდი ოჯახი ჰყავს — მეუღლე და სამი ქალიშვილი. აღსანიშნავია, რომ დორონი 12 წლის იყო, როცა მომავალი მეუღლე მეირავი გაიცნო. პატარა ჯამჩების დედა მაშინ 10 წლისა გახლდათ.

ჯამჩი „მაკაბის“ მეორე მოთამაშეა, რომელმაც სეზონთაშორის პერიოდში კალათბურთს თავი დაანება. ორიოდ თვის წინ სპორტს გამოეთხოვა დორონ შეფერი, რომელიც 28 წლისაა.

### ესპანეთი

# ესპანელებმა ტურნირი მოიგეს და ნომრები ჩამოირიგეს

**ესპანეთის** ქალაქ უელვაში გაიმართა ანტონიო დიას მიგელის მემორიალი, რომელშიც ოთხი ნაკრები მონაწილეობდა — ესპანეთი, ლიტვა, ხორვატია და თურქეთი. შეჯიბრება ორდღიანი იყო და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა.

პირველ დღეს ესპანელებმა, რომლებიც სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან, 104:80 დაამარცხეს ხორვატები. მასპინძლებს, ცხადია, ის შემადგენლობა ჰყავდათ, რომელიც სიდნეიში ითამაშებს. ხორვატიას კი აკლდა „ფილადელფია 76“-ის ფორვარდი ტონი კუკოჩი. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ ალფონსო რეიესი (19 ქულა), როდრიგო დე ლა ფუენტე (16 ქულა) და ჯონი როჯერსი (14 ქულა). ხორვატიას 16-16 ქულა მოუტანეს დამირ მულაომეროვიჩმა და იოსიპ სესარმა.

ოლიმპიადისთვის ემზადება ლიტვაც, რომელსაც სიდნეიში ნამდვილად არ ეყოლება არვიდას საბონისი და, ალბათ, არც არტურას კარნიშოვასი. პირველ დღეს ლიტველები 64:65 დამარცხდნენ თურქეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ტაიმი 39:27 მოიგეს. ბალტიელთაგან საულიუს შტომბერგასმა (17 ქულა) გამოიჩინა თავი, ხოლო ჩვენს სამხრეთელ მეზობელთაგან — ჰუსეინ ბეშოქმა (19 ქულა) და მეჰმეთ ოქურმა (14).

ფინალში ესპანეთმა დაასვენა ცენტრი რობერტო დუენიასი და ლიდერი, ფრთა ალბერტო ერეროსი. თურქეთს კი ფორვარდი იბრაჰიმ ქუთლუაი აკლდა, რომელიც თავის ახალ გუნდს, ათენის აეკ-ს ახლავს შეკრებაზე. მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა და ესპანელთა გამარჯვებით — 66:65 დასრულდა. საუკეთესო მოთამაშედ თურქი მეჰმეთ ოქური (23 ქულა, 10 მოხსნა) აღიარეს. მეტოქეთა შემადგენლობები ამგვარი იყო:

**ესპანეთი: გარბახოსა (12), ა. ანგულო (11), დე მიგელი (10), რეიესი (10), როდრიგესი (7), დე ლა ფუენტე (7), ნავარო (5), ლოპესი (2), როჯერსი (2), ხიმენესი.**

**თურქეთი: ოქური (23), ენე (11), ფარსი (9), თუნჩერი (7), ბეშოქი (6), ბიბო (6), თურქოღლუ (3), ვექილოღლუ.**

ესპანელებმა ისიც დაადგინეს, ოლიმპიადაზე ვინ რა ნომრით ითამაშებს: *4. ალბერტო ანგულო, 5. ხუან კარლოს ნავარო, 6. რაულ ლოპესი, 7. ხორხე გარბახოსა, 8. იგნასიო როდრიგესი, 9. კარლოს ხიმენესი, 10. როდრიგო დე ლა ფუენტე, 11. ალბერტო ერეროსი, 12. ჯონი როჯერსი, 13. იგნასიო დე მიგელი, 14. ალფონსო რეიესი, 15. რობერტო დუენიასი.*

### იუგოსლავია

# იუგოსლავიას ხელი დაუმძიმდა

**სიდნეის** ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მორიგი ეტაპი იუგოსლავიის ნაკრებმა ჯერ შვეიცარიის მთიანეთში გაიარა, შემდეგ კი იტალიას ესტუმრა და ოთხი საკონტროლო მატჩი ითამაშა. მსოფლიოს ჩემპიონებმა დაამარცხეს ხორვატია, სამაგიეროდ წააგეს თურქეთთან და ორჯერ იტალიასთან. მიუხედავად ამისა, ნაკრების მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს: „ოთხივე შეხვედრა სასარგებლო იყო. შედეგს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარ მიზნად კალათბურთელთა შეთამაშება დავისახეთ. იტალიასთან არ გამოვიყვანეთ გუნდის ლიდერები — დეიან ბოდიროგა, ჟელკო რებრაჩა, პრედრაგ დანილოვიჩი და საშა ჯორჯევიჩი. საქმეში სხვების ნახვა მაინტერესებდა და მათი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ერთადერთი, რაც არ მომეწონა — ძალიან ბევრი სროლა გავაფუჭეთ. ამასაც აქვს თავის მიზეზი: შვეიცარიაში ფიზიკურად მოვემზადეთ და მოთამაშეები ბურთს გადაეჩვივნენ, თანაც, ხელები დამძიმებული ჰქონდათ“.

ბელგრადში დაბრუნებული იუგოსლავიის ნაკრების წევრები ობრადოვიჩმა ორი დღით სახლებში გაუშვა. დღეს ისინი კვლავ შეიკრიბებიან და ამ უქმეებზე ორჯერ შეხვდებიან შვედეთის ნაკრებს, პირველად — ნოვი სადში, მეორედ — ბელგრადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაცების ბადე



# US OPEN 2000

**ორიოდ დღეც და მსოფლიოს არაოფიციალური დედაქალაქი ნიუ იორკი ოფიციალურად შეიმჩნობს პლანეტის საჩოგბურთო დედაქალაქის სახელს — ორშაბათს აქ სეზონის უკანასკნელი დიდი სლემის ტურნირი, აშშ-ის ღია პირველობა დაიწყება. მთელი ორი კვირის მანძილზე ნაქებ-ნაბატიყები დონები და პრიმადონები სარეკორდო საპრიზო ფონდიდან მადიანი ლუკმისა და მთავარი ჯილდოს ხელში ჩასაგდებად იბრძოლებენ.**

## ქალების ბადე



# ფული და ხმაური

**ხუმრობით** ამბობენ, თუ უიმბლდონზე ქოლგა უნდა იქონიოთ თან, აშშ-ის ღია პირველობაზე ყველაზე მეტად ფული გჭირდებაო. ბილეთებიდან დაწყებული, გამაგრილებელი სასმელებით დამთავრებული აქ ყველაფერს ცეცხლი უკიდია.

თუმცა თავად მოთამაშეებს ხელის დაწვის პრობლემა ნამდვილად არ შეაწუხებთ. აქ თვით საკვალიფიკაციო ტურნირის პირველივე წრეში დამარცხებულებსაც (როგორც, მაგალითად ჩვენებურ ირაკლი ლაბაძეს, რომელმაც ოთხშაბათს მაიკლ რასელთან 4:6, 6:3, 2:6 წააგო) 3000 დოლარს უწილადებენ, ჩემპიონები კი მართლაც შთამბეჭდავ თანხას — 800 ათას მწვანეს მიიღებენ.

აშშ-ის ღია პირველობის საპრიზო ფონდი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მასზე კიდევ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. სულ სხვადასხვა ჯურის, ასაკისა და ნიჭის 600 ჩოგბურთელისთვის 15 მილიონ დოლარზე მეტია გამოყოფილი, თანაც „ოუფენი" ერთადერთია დიდი სლემის ტურნირებიდან, სადაც ქალებს და კაცებს თანაბრად უხდიან.

ეს (სქესთა თანასწორობას ვგულისხმობთ) სანაქებო ტრადიცია ნიუ იორკში ჯერ კიდევ 1973 წელს დანერგეს, როდესაც ჩემპიონებს — ჯონ ნიუკომბსა და მარგარეტ კორტს 25-25 ათასი დოლარი უწყალობეს. არადა, სხვა მეიჯორებზე, გაშვებული ფემინისტების თავგადაკლული ბრძოლის მიუხედავად, ძუებისა და ხვადების გასწორებისთვის ჯერაც ვერ მიუღწევიათ.

კიდევ რით გამოირჩევა „ოუფენი" სხვა ტურნირებისგან? უპირველეს ყოვლისა, ღრიანცელითა და არეულობით. სტადიონის თავზე გამუდმებით მფრინავი „ბოინგების" გამაყრუებელ ხმასა და ტრიბუნებზე სალაყბოდ ჩამომსხდარი იანკების ყაყანზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ აურზაურში გზის გაკვლევა თავად ჩოგბურთელებსა და „ფლაშინგ მედოუზის" გიგანტური კომპლექსის თანამშრომლებსაც უჭირთ.

დაუდგრომლობა კი ტურნირს მართლაც ახასიათებს. 1881 წელს საფუძველჩაყრილი „ოუფენი" ნიუ იორკის გარდა კიდევ 9 ქალაქს სტუმრობდა და „როლან გაროსისა" და „უიმბლდონისგან" განსხვავებით ერთ საფარზეც ვერაფრით იკიდებდა ფეხს.

სხვადასხვა წლებში აშშ-ის ღია პირველობა ბალახსა და თიხნარზე იმართებოდა, „ჰარდის" საფარი კი მხოლოდ 1978-ში დამკვიდრდა საბოლოოდ, როდესაც „ვესტ საიდ ტენის კლაბიდან" თავის ახლანდელ ადგილსამყოფელში გადაბარგდა.

### ფავორიტები

**ბოლო 10 წლის კაცებთა ფინალები**

**1990 პიტ სამპრასი — ანდრე აგასი 6:4, 6:3, 6:2**
**1991 სტეფან ედბერგი — ჯიმ კურიე 6:2, 6:4, 6:0**
**1992 ედბერგი — სამპრასი 3:6, 6:4, 7:6, 6:2**
**1993 სამპრასი — სედრიკ პიოლინი 6:4, 6:4, 6:3**
**1994 აგასი — მიხაელ შტიხი 7:6, 6:0, 6:1**
**1995 სამპრასი — აგასი 6:4, 6:3, 4:6, 7:5**
**1996 სამპრასი — მაიკლ ჩანგი 6:1, 6:4, 7:6**
**1997 პატრიკ რაფტერი — გრეგ რუზედსკი 6:3, 6:2, 4:6, 7:5**
**1998 რაფტერი — მარკ ფილიპუსისი 6:3, 3:6, 6:2, 6:0**
**1999აგასი — ტოდ მარტინი 6:4, 6:7, 6:3, 6:2**

წლევანდელ „ოუფენზე" კაცებს შორის სავარაუდო ჩემპიონის დასახელება მღვრიე წყალში თევზის ჭერას ჰგავს — ანკესს ლაზათიანი ლაყუჩების ნაცვლად შეიძლება ძირგამომძვრალი ფეხსაცმელიც ამოჰყვეს.

ბოლო წლებში „დიდი ვაშლის" დაპყრობის რეალურ კანდიდატად სულ ორი-სამი ჩოგბურთელი — პიტ სამპრასი, ანდრე აგასი და პატრიკ რაფტერი თუ ითვლებოდნენ, მაგრამ ამჯერად მრისხანე სამეულზე ფსონების ჩასვლა მეტად სარისკო საქმეა.

აგასიმ ივლისის დასაწყისში ავარიაში ნატკენი ზურგი თითქოს ბოლომდე მოირჩინა, მაგრამ ზაფხულში სასურველზე გაცილებით ნაკლები მატჩი ითამაშა და ამ რამდენიმე დღის წინ ალექს კორეჩასთან პირწმინდად დამარცხება საკუთარი ძალების რწმენას ნამდვილად ვერ დაუბრუნებდა.

უიმბლდონის ფინალისტებს, სამპრასსა და რაფტერს ჩრდილოამერიკული კლიმატი არ მოუხდათ — ამერიკელიც და ავსტრალიელიც ორ ტურნირზე ნაადრევად გამოეთიშნენ ასპარეზობას. თუმცა „პისტოლ პიტი" მაინც იმედიანადაა განწყობილი. „ნიუ იორკში მაშინაც მიმარჯვია, მანამდე კარგად რომ ვირჯებოდი და მაშინაც, როცა არაფერი გამომდიოდა. აგვისტოში მაინცდამაინც წარმატებით არ მითამაშია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს".

სხვათა შანსების შეფასებას თუ შევუდგებით, უამრავი კითხვისთვის მოგვიწევს პასუხის გაცემა. გაუშინაურდა კი გუსტავო კუერტენი იმდენად ჰარდის საფარს, რომ „მეიჯორის" ტიტულზე იოცნებოს? ეყოფა ფინალამდე ჩოგნების მარაგი მათი მტვრევის საოცრად მოყვარულ მარატ საფინს? რა უფრო აინტერესებს მაგნუს ნორმანს, მსოფლიოს პირველი ჩოგნობა თუ ქალებში მსოფლიოს პირველი ჩოგანი?

თუ ჩვენში ფრიად მოდურ და მობილურ სარეკლამო კამპანიას დავესესხებით, ყველაფრის პასუხს ორ კვირაში გავიგებთ.

***სხვა ფავორიტები და მათი შესაძლო გამწარებლები:* *ტომას ენკვისტი, ტიმ ჰენმანი, კარლოს მოია, ჟან-მაიკლ გემბილი, ალექს კორეჩა.***

**ბოლო 10 წლის ქალთა ფინალები**

**1990 გაბრიელა საბატინი — შტეფი გრაფი 6:2, 7:6**
**1991 მონიკა სელეში — მარტინა ნავრატილოვა 7:6, 6:1**
**1992 სელეში — არანჩა სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:3**
**1993 გრაფი — ჰელენა სუკოვა 6:3, 6:3**
**1994 სანჩეს-ვიკარიო — გრაფი 1:6, 7:6, 6:4**
**1995 გრაფი — სელეში 7:6, 0:6, 6:3**
**1996 გრაფი — სელეში 7:5, 6:4**
**1997 მარტინა ჰინგისი — ვინუს უილიამსი 6:0, 6:4**
**1998 ლინდსი დევენპორტი — ჰინგისი 6:3, 7:5**
**1999 სერენა უილიამსი — ჰინგისი 6:3, 7:6**

კაცებისგან განსხვავებით, ქალებში გამარჯვების რეალური ფავორიტების ჩამოთვლას ცალი ხელის თითები ეყოფა. სასწაული უნდა მოხდეს, რომ ფინალში დები უილიამსებისა და მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნების, მარტინა ჰინგისისა და ლინდსი დევენპორტის გარდა ვინმე სხვა ვიხილოთ.

შესანიშნავი ოთხეულის ბატონობას „ფლაშინგ მედოუზზე" ისევ თავად მათი ტრავმები თუ შეუშლის ხელს. ლინდსი დევენპორტს კარგა ხანია, ბარძაყის კუნთი და ზურგი აწუხებს, უმცროსმა უილიამსმა კი წინა კვირას ფეხი იტკინა და მოასწრებს თუ არა „ოუფენისთვის" გამოჯანმრთელებას, არავინ უწყის.

***სხვა ფავორიტები და მათი შესაძლო გამწარებლები:* *მარი პირსი, მონიკა სელეში, ელენა დემენტიევა, ელენა დოკიჩი, ემი ფრეზერი.***

**ავთანდილ სვანიძე**



ლინდსი დევენპორტი

**კაცების ბადე** (1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2)

- აგასი (1) — ა. კიმი
- გაუდიო — კლემანი
- ჰენჩკი — არაზი
- ფერერა — ილი
- ზაბალეტა — დი პასკუალი
- კინგი — პაველი
- შერჩეული — გოლმარი
- ბ. ბრაიანი — ლაპენტი (16)
- ჰიუიტი (9) — ვინსიგერა
- უე — ბუტე
- ნოვაკი — ა.მარტინი
- ბლექი — დენტი
- მასიუ — რიოსი
- შერჩეული — შერჩეული
- ვუდრაფი — შერჩეული
- პუერტა — ენკვისტი (7)
- სამპრასი (4) — დამი
- როშიუ — გიმელსტობი
- სანგვინეტი — კალერი
- სანჩესი — შერჩეული
- შერჩეული — ჰაასი
- შერჩეული — შუტლერი
- ტარანგო — შერჩეული
- მარინი — სკილარი (13)
- ჰენმანი (11) — ვისენტე
- შერჩეული — მემიტი
- კრაიჩეკი — შერჩეული
- ?რატოხვილი — სა
- ჰრბატი — ივანიშევიჩი
- აინაუი — ალამი
- ვანეკი — პოპი
- სტანოიჩევი — კაფელნიკოვი (5)
- საფინი (6) — გუარდიოლა
- რუუდი — პოცი
- ჩელა — კუბეკი
- ჯ. კიმი — გროსჟანი
- სანტორო — ნესტორი
- ფედერერი — ვესელსი
- გუმი — შერჩეული
- მელიგენი — ფერერო (12)
- კიფერი (14) — გაუდენცი
- ბიორკმანი — ულირახი
- შალკენი — შერჩეული
- ჰიპფლი — ვოინეა
- მირნი — კუჩერა
- როდიკი — კოსტა
- შერჩეული — სავოლტი
- გოლდსტაინი — ნორმანი (3)
- კორეჩა (8) — სრიჩაპანი
- როსე — შერჩეული
- დოსედელი — კლავეტი
- მოია — ტილსტრომი
- ტ. მარტინი — სპედეა
- ჩანგი — შერჩეული
- რუზედსკი — გუსტაფსონი
- სარგსიანი — პიოლინი (10)
- ფილიპუსისი (15) — პორტასი
- გემბილი — ფიში
- იოჰანსონი — ლუბიჩიჩი
- ბლანკო — რაფტერი
- პრინოშილი — შერჩეული
- ბასტლი — ფრომბერგი
- სტოლტენბერგი — ესკუდე
- შერჩეული — კუერტენი (2)

**ქალების ბადე** (1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2)

- ჰინგისი (1) — ჟიდკოვა
- შერჩეული — ბრანდი
- კოსტანიჩი — შერჩეული
- მაროზი — გარბინი
- შერჩეული — სუგიამა
- შერჩეული — ბუგერტი
- შერჩეული — ტულიუგანოვა
- პრატი — ტესტიუ (11)
- კაპრიატი (15) — გალიარდი
- ვავრინეცი — ნაგიოვა
- გერსი — ჰოპკინსი
- ბლექი — დეში
- რუბინი — კარლსონი
- შეტი — ფარინა
- ბარაბანშიკოვა — კრემერი
- სინგიანი — სელეში (6)
- ვ. უილიამსი (3) — სიდო
- მისკინა — ჰრდლიჩკოვა
- შონესი — ჰაბსუდოვა
- ნოლა — ნეიდლი
- გრანდე — კრისტეა
- სერნა — ვარტუში
- რიპნერი — კანდარი
- საკიჩი — კუტცერი (13)
- სანჩეს-ვიკარიო (9) — კრუგერი
- ჯეიასლანი — კოშტო
- კუტი კისი — ირვინი
- პიტკოვსკი — ბრედშოუ
- კარგილი — ბუტი
- ვაშინგტონი — შერჩეული
- ვენტო — აპელმანსი
- შერჩეული — ტოზია (8)
- მარტინესი (7) — ფრეზერი
- შერჩეული — სანჩეს ლორენსო
- სნაიდერი — დემენტიევა
- პლიშკე — სუარესი
- ასაგოე — შერჩეული
- შნიდერი — შერჩეული
- ოსტერლო — ვალერო
- შერჩეული — ვან რუსტი (14)
- ჰუბერი (10) — ტიუ
- პანოვა — შერჩეული
- ლიხოვცევა — შერჩეული
- კალენსი — დე ლოუნი
- დრაგომირი — შლუკებირი
- რეიმონდი — გრჟიბოვსკა
- მალეევა — უი
- სტივენსონი — პირსი (4)
- ს. უილიამსი (5) — ვისნიკი
- პეტროვა — შერჩეული
- შერჩეული — კასონი
- დე ლოს რიოსი — ბაზევა
- შერჩეული — ტალაია
- შერჩეული — ჰოპმანსი
- სმეშნოვა — დოკიჩი
- ორემანსი — ალარი (16)
- კურნიკოვა (12) — პარკინსონი
- კლეინოვა — კრასნარუცკაია
- ხლადკოვა — ზულუაგა
- ლაბატი — ენენი
- პასკუალი — სრებოტნიკი
- მონტოლიო — ტენასუგარნი
- კლაისტერსი — მარერო
- გარსია — დევენპორტი (2)



მიკა ჰაკინენი პირველი ბელგიური ტრიუმფისთვის ემზადება

# პოდიუმზე მობრძანდით, თავადო!

## ფორმულის მარგალიტი დიმიტრი ჯორჯაძესაც ეგება

**ბრიუსელსა** და ლიეჟს შორის, არდენის მთებში ჩაკარგულ ტრასას არა მარტო ბელგიის, არამედ მთელი ფორმულის მარგალიტსაც უწოდებენ. თითქმის 15-კილომეტრიანი წრე თავიდანვე ერთ-ერთი უგრძესი, უსწრაფესი, ურთულესი და ულამაზესიც გახლდათ. სამი პატარა სოფლის დამაკავშირებელ შარაზე (მაშინ, ცხადია, ტევადი ტრიბუნებისა და საერთოდ ავტოდრომის ხსენებაც არ იყო), ჯერ კიდევ 1925 წელს გათამაშდა პირველი ბელგიური დიდი პრიზი. ომამდე იქ მოტოციკლებისა და იმხანად უკვე საკმაოდ პოპულარული დღეღამური რბოლებიც ეწყობოდა. 1931 წელს სპა-ფრანკორშამის 24-საათიან მარათონში, თქვენ წარმოიდგინეთ, ემიგრანტი თავადის, დიმიტრი ჯორჯაძის „მერსედეს-ბენცს“ უჯობნია ყველასთვის. ოღონდ ეგაა, ქართველი მრბოლი თურმე რუსეთის დროშით ასპარეზობდა.

პირველი საფორმულო ეტაპი 1950 წლის 18 ივლისს შედგა. ისტორიული რბოლა „ალფა რომეოს“ პილოტების — ლეგენდარული არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიოსა და იტალიელი ლუიჯი ფაჯიოლის შთამბეჭდავი დუბლით დასრულდა. ტრასის ჩქაროსნული, სახიფათო მოსახვევები, აღმართ-დაღმართის დონეთა შორის უზარმაზარი, ლამის 200 მეტრი სხვაობა და დღევანდელთან შედარებით ბევრად გრძელი, 430-კილომეტრიანი დისტანცია მძღოლებისგან უზადო ოსტატობასთან ერთად სამაგალითო გამძლეობასაც მოითხოვდა.

ბელგიის დიდი პრიზის გათამაშება ნახევარი საუკუნის მანძილზე მხოლოდ ოთხჯერ (1957, 59, 69, 71 წლებში) გაცდა. არდენის გარდა მსოფლიოს უსწრაფეს მრბოლებს ნეველისა (ორჯერ) და ზოლდერის (10) ავტოდრომებმაც უმასპინძლა. 1983 წლიდან კი შეჯიბრება ძირფესვიანად სახეცვლილ სპა-ს დაუბრუნდა. მართალია, წრე ორჯერ დამოკლდა, მაგრამ ჩქაროსნული თვისებები არ დაუკარგავს და დღესაც გამორჩეულ ტრასად რჩება. „ფორმულა 1 სისწრაფისთვისაა მოგონილი, სპა კი ამ სისწრაფით ტკბობისთვის“ — 1982 წლის ჩემპიონის, ფინელი კეკე როსბერგის ამ სიმბოლურ გამონათქვამს იზიარებს ყველა, ვისაც იქ ერთხელ მაინც უქროლია.

საინტერესოა, რომ განახლებულ ავტოდრომზე როგორც წესი, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონები იმარჯვებდნენ: აირტონ სენა (5-ჯერ), მიხაელ შუმახერი (4-ჯერ), დეიმონ ჰილი (3-ჯერ), ალენ პროსტი (2-ჯერ) და ერთხელაც ნაიჯელ მენსელი. ტრადიცია შარშან დევიდ კულჰარდმა დაარღვია. ვინ იცის, დაარღვია კი...

და კიდევ: წინა წლების სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, გამოდის, რომ ხვალინდელი რბოლის მომგები წლეულს ჩემპიონი ვერ გახდება, რადგან ბოლო რვა გათამაშებაში სწორედ ასე იყო. ამდენად, იქნებ არც ღირდეს გამარჯვებისთვის თავის გაწირვა, თუმცა, ვისთვის როგორ...

**ირაკლი ნიქოლაძე**

**F1** | მეცამეტე ეტაპი | ბელგიის დიდი პრიზი

### სპა-ფრანკორშამი

*სპა, 27 აგვისტო*




**ტრასის სიგრძე** ........................................ **6.968 კმ**
**რბოლის დისტანცია** .................... **44 წრე — 306.592 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1 კულჰარდი (მაკლარენი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3 ფრენცენი (ჯორდანი); 4 ირვინი (ფერარი); 5 რ. შუმახერი (უილიამსი); 6 ჰილი (ჯორდანი)

**კვალიფიკაცია:** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:50.329

**წინა წლების გამარჯვებულები**

1990, 91 — სენა (მაკლარენი); 1992 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1993, 94 — ჰილი (უილიამსი); 1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1996, 97 — მ. შუმახერი (ფერარი); 1998 — ჰილი (ჯორდანი)

**საუკეთესო წრე:** 1997 — ვილნევი (უილიამსი) 1:52.692



# სამი ერი: ყველაფერი ან არაფერი

## თუ ამან იმას, მაშინ...

26 აგვისტო. დურბანი.
აბსა სტედიუმი

**სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია**

**დღეს** სამხრეთაფრიკულ დურბანში წლევანდელი „სამი ერის პირველობის“ ბოლო მატჩია. ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში სარაგბო ძალთა სადღეისო თანაფარდობა გვიჩვენებს, რომ სწორედ ნახსენები შეჯიბრია პლანეტაზე უმაღლესი დონის და მასთან „ექვსი ერის პირველობაც“ ძნელად თუ მივა. ცალკე საკითხავია მომავალი — ჩრდილოელი ბობოლების მცდელობანი დევიზით: „დავეწიოთ და გავუსწროთ სამხრეთს!“ ამ მიზნით კოალიციებიც კი იქმნება (ინგლის — საფრანგეთისა), მაგრამ რეალურ შედეგებს მხოლოდ 21-ე საუკუნეში ვიხილავთ, ჩვენი ერა სამხრეთის ბატონობით სრულდება და აჰა, ბოლო მატჩიც, რომლის დასრულებისთანავე, თამამად ვიტყვით, წლევანდელი მსოფლიოს უძლიერესი სარაგბო ქვეყნის ვინაობა გაირკვევა!

დღეს დურბანში, „აბსა სტედიუმზე“ სამხრეთ აფრიკა ავსტრალიას დაუხვდება, 15 მუქმწვანე მაისურიანი „ქურციკი“, ამდენსავე ოქროსფრად გამოწყობილ „ვოლაბს“ უმასპინძლებს და შეეცდება, სტუმარი რაც შეიძლება ცუდად მიიღოს. სამხრეთაფრიკელებს სჭირდებათ გამარჯვება, რადგან სახელი გადაარჩინონ. რაც უნდა საოცარი იყოს, წინა შაბათს ახალი ზელანდიის ძლევამ მათი ისედაც ნამცეცა საჩემპიონო შანსი მთლად დაასამარა, მაგრამ მასმედიას და გულშემატკივრებს საქებარი სიტყვების გარდა არაფერი დასცდენიათ, ამიტომ, მიღწეულს განვითარება უნდა და, თუ დღეს „ქურციკთა“ ჩლიქებით „კენგურუებიც“ (ვოლაბი კენგურუს სახეობას ჰქვია) დაიტორნენ, ნიკ მალეტი მომავალ წელსაც,



ავსტრალიელი ჯეისონ ლიტლი (ბურთით) და სამხრეთაფრიკელი ანდრე ფოსი (მარჯვნივ) ერთმანეთს დღესაც შეებმებიან

სავარაუდოდ, მწვრთნელად დარჩება. ამიტომ სამხრეთ აფრიკელთა დამრიგებელი თამაშს სრული სერიოზულობით ეკიდება. „ვუფრთხი კარგად ნავარჯიშევ ავსტრალიის ნაკრებს — თქვა მან გუშინ — „ვოლაბებმა“ მსოფლიოს თასი მოიგეს და ნებისმიერის დამარცხება ძალუძთ. ამასთან, ახალ ზელანდიასთან გამოყენებული ტაქტიკით მათ ვერ ვეთამაშებით, რაღაც უნდა შევცვალოთ. „ოლ ბლექსი“ ინდივიდუალისტთა ნაკრებია. უმაგა, კალენი, იერემაია, მარშალი, ლომუ — ის ხალხია, რომელთაც ერთი-ერთზე ტოლი არა ჰყავთ, ხვალ კი უპირველესად გუნდთან გვექნება საქმე, რომელსაც კარგად ორგანიზებული თამაშის გამართვა ხელეწიფება.“ მალეტმა ისიც აღნიშნა, ავსტრალიასთან მისმა ბიჭებმა წლეულს ორი მატჩი რომ დათმეს, მაგრამ იქვე დაამატა, მასპინძელი არც ერთხელ ვყოფილვართ და შინაური კედლების ფაქტორი უეჭველად გასათვალისწინებელია.

რომ არ გავაჯანჯლოთ, სამხრეთ აფრიკას გამარჯვება სჭირდება, ავსტრალიას კი ათჯერ მეტად... „ვოლაბები“ ახალ ათასწლეულს დანაკლისებით შეხვდებიან. ნაკრებიდან მიდიან ცენტრი ჯეისონ ლიტლი, ფრთა დევიდ უილსონი და რიჩარდ ჰარი (ტიმ ჰორანმა ტრავმის გამო ნაკრები უკვე დატოვა), თან საუკუნე იწურება და მხოლოდ გამარჯვებას შეუძლია ავსტრალია სამი ერის ჩემპიონი გახადოს. სათადარიგო ვარიანტიცაა: „ვოლაბებმა“ მინიმუმ ოთხი ლელო უნდა გაიტანონ და 7 ქულაზე ნაკლებით წააგონ. მაშინ ორი პრემიალური ქულა ერგებათ და ახალ ზელანდიას ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრებენ, მაგრამ ვინ იცის, ასე გემრიელად იქნება კი ყველაფერი? მეტოქის ერთ ჯარიმას შეუძლია საქმის ჩაგდება. ამიტომ გამარჯვებაზე ფიქრია თავიდანვე საჭირო და, აკი ამას ამბობს როდ მაკკუინიც, „ვოლაბთა“ მწვრთნელი. მან იცის, ავსტრალიელებს ურთულესი მატჩი რომ ელით და მეტოქის გატეხას კარგად აწყობილი, ნელი და მჭიდრო თამაშით აპირებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სამხრეთ აფრიკა:** დელპორტი, უილიამსი, ქატერპეიზენი, ფლეკი, პოლსე, ფანსტრაატენი, სვონეპული, ფოსი (კაპიტანი), კრიხე, ერაზმუსი, ენდრიუსი, ფენტერი, ფისახი, მარე, კემპსონი.

**სათადარიგონი:** სმიტი, ლეროუ, ბერხი, ბროსნიჰანი, იუსტ ფან დერ ვესტჰეიზენი, იაკო ფან დერ ვესტჰეიზენი, მონტგომერი.

**ავსტრალია:** ლეითემი, მორტლოკი, ჰერბერტი, ლიტლი, როფი, ლარკემი, გრეგანი, უილიამსი, უილსონი, კონორსი, ილზი (კაპიტანი), გიფინი, დაისონი, ფოლი, ჰარი.

**სათადარიგონი:** ტიუნი, კეიფერი, კორდინგლი, კეფუ, კოკბეინი, პანოჰო, პოლი.

# ვუელტამ ტანი აიყარა

**დღეს** ველოსპორტის სამი უმთავრესი ტურნირიდან ბოლო, „ვუელტა“ იწყება. ტრადიციულად, ესპანეთის გზებს პელოტონი სექტემბერში შეესევა ხოლმე, მაგრამ ვინაიდან წლეულს ოლიმპიური თამაშები სწორედ სექტემბერშია და ძლიერ მრბოლთა უმეტესობასაც ავსტრალიაში გამოსვლა გადაუწყვეტია, ტურნირის ორგანიზატორებმა ტრადიციის დარღვევა გადაწყვიტეს.

წლევანდელი „ვუელტა“ 1977 წლიდან მოყოლებული ყველაზე მოკლეა. პელოტონს მხოლოდ 2894 კილომეტრის გავლა მოუწევს, თანაც დასვენების დღე ერთის ნაცვლად ორია. სამაგიეროდ, სიძნელეები იქნება ბევრი, ბოლო ეტაპი კი ინდივიდუალური რბოლაა. „გვინდოდა, დაძაბულობა ბოლომდე შეგვენარჩუნებინა“ — თქვა „ვუელტას“ გენერალურმა დირექტორმა ენრიკე ფრანკომ. ამიტომაცაა რვამთიანი ეტაპი წლევანდელ „ვუელტაზე“.

ახლა პელოტონის მიერ გასავლელ გზას ცოტა დაწვრილებით აღვწერთ და შეჯიბრის ფავორიტებზეც მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას.

დავიწყოთ იმით, რომ არც ერთი ეტაპის სიგრძე არ აღწევს 200 კილომეტრს, რის გამოცაა, რომ „ვუელტას“ გზა „ჯიროსაზე“ და „ტურისაზე“ გაცილებით მოკლეა. ორგანიზატორებმა დასვენების ორი დღე ერთი ეტაპით დააცალკევეს. მათ ხუთი ეტაპის ფინიში ალმართში მოაწყვეს (ლა მოლინა, არკალისი, კოვადონგა, ანგლირუ, აბანტოსი), რაც მთიელებს ერთობ უნდა უხაროდეთ. თავიდან პელოტონი მალაგადან ჩრდილოეთისკენ, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს აუყვება. უკვე მეხუთე ეტაპზე მას საშუალო სიმაღლის მთები შეხვდება, ტარაგონის ინდივიდუალური რბოლის მეორე დღეს კი, ლა მოლინაში ისტორიაში პირველად დასრულდება „ვუელტას“ ეტაპი.

ამის შემდეგ მრბოლები ჯუჯა-სახელმწიფო ანდორაში გადავლენ და არკალისის ალმართებს შეუტევენ, სადაც 1997 წელს იან ულრიხმა „ტურის“ ლიდერის ყვითელი მაისურა მოიპოვა და მერე აღარავის დაუთმო. ფინალურ ალმართზე სპორტსმენებს ორი მთა ექნებათ გადასავლელი, რომლებიც ზღვის დონიდან 1800 და 1980 მეტრ სიმაღლეზე არიან.

ქვეყნის დასავლეთში გადასვლამდე პელოტონი ლეგენდარულ კოვადონგას ტბების სანახებში გაინავარდებს, სადაც ბოლო ორი წლის მანძილზე ეკოლოგების პროტესტების გამო, ცხვირის შეყოფაც კი აკრძალული ჰქონდა, ორი დღით გვიან კი ჯოჯოხეთური ანგლირუა დასამარცხებელი. ეს მთა ადრე მსხვილფეხა საქონლის საძოვარი იყო, მხოლოდ ახლახან მოაასფალტეს იქ არსებული გზა და „ვუელტას“ პროგრამაში პირველად შარშან შეიტანეს. ჰოდა, გასულ წელს იქ ამსვლელ მრბოლებს დღესაც კი კოშმარული მოგონებები აწუხებთ. ის ეტაპი



იან ულრიხი

წვიმიან ამინდში ხოსე-მარია ხიმენესმა (ესპანეთი, ბანესტო) მოიგო, ფერნანდო ესკარტინი და პეტერ ლუტენბერგერი კი დაშავდნენ და შეჯიბრს გამოეთიშნენ. ალტო დე ლანგლირუს, ორი პირველი კატეგორიის სიძნელის მთა უსწრებს, თვით ანგლირუ კი უმაღლესი კატეგორიის სიძნელისაა. 13 კილომეტრი და საშუალოდ 9,6-პროცენტიანი დახრილობა, სანამ ზღვის დონიდან 1560 მეტრ სიმაღლეზე ფინიშს უწევ. „ბოლო კილომეტრები ლამის შვეულია“ — ამბობს რობერტო ერასი და მართალიცაა. 23,6-პროცენტიანი დახრილობის გზაზე ველოსიპედით კი არა, ფეხით ასვლა გაუძნელდება ადამიანს.

ამ ჯოჯოხეთის შემდეგ მრბოლებს ხუთი ეტაპიღა დარჩებათ. ჯამში ინდივიდუალისტებისთვის სამი ეტაპი და 88,9 კილომეტრია შეგულებული, მთიელებისთვის კი 20 „მსუქანი“ მთა, რომელთაგან სამი (არკალისი, კოვადონგა, ანგლირუ) უმაღლესი კატეგორიის სიძნელისაა, ათი — პირველის და შვიდიც მეორე კატეგორიისაა.

და ვინ არის „ვუელტას“ უმთავრესი ფავორიტი? — იან ულრიხი. გერმანელმა ესპანეთში შარშანაც იმარჯვა და წლეულსაც იგივეს აპირებს. „ტელეკომის“ ლიდერი მსოფლიოში, ალბათ, უძლიერესი მრბოლია და რომ არა წლის პირველ ნახევარში ზედმეტი წონის პრობლემა, არც ერთ მრავალდღიანს სხვას არ დაუთმობდა. ახლა ულრიხი ბრწყინვალე ფორმაშია და ძნელი წარმოსადგენია, მას ვინმემ სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს. მით უმეტეს, რომ მისი ორი მთავარი მეტოქე პელოტონის ბატონობაში, ამერიკელი ლენს არმსტრონგი და იტალიელი მარკო პანტანი ესპანეთში არ გამოვლენ. ულრიხი ძალიან ძლიერია ინდივიდუალურ რბოლებში და მთებშიც თანაბრად ეპაექრება საუკეთესო მთიელებს. მას გუნდში ორი ძლიერი გრეგარიც ჰყავს — ანდრეას კლოდენი და ალექსანდრ ვინოკუროვი. თუმცა ყველაფერი ამის გათვალისწინებით, სხვა მრბოლების ნაადრევად ჩამოწერა მაინც არ ეგების.

პელოტონში ყველანაირი სტილის მრბოლს შეხვდებით. ულრიხთან ბრძოლა „ვუელტას“ (ალექს ცულე, აბრაამ ოლანო) და „ჯიროს“ (პაველ ტონკოვი, ივან გოტი) ბოლო წლების გამარჯვებულებს ძალუძთ. არც სხვები იქნებიან გულხელდაკრეფილნი. შარშანდელი „ვუელტას“ მეორეადგილოსანი იგორ გონსალეს დე გალდეანო და წლევანდელ „ტურში“ მეხუთე ადგილზე გასული რობერტო ერასიც ეცდებიან თავის გამოჩენას. შესაძლოა, ფერნანდო ესკარტინმა, ხოსე-მარია ხიმენესმა, რიშარ ვირანკმა და ვლადიმირ ბელიმაც გამოიდონ თავი. ახალგაზრდებიც უნდა გვახსოვდეს, მაგალითად, დანილო დი ლუკა.

„რბოლები სწრაფი, დაძაბული და ლამაზი იქნება“ — ამბობს „ესკალტელის“ სპორტული დირექტორი ხულიან გოროსპე. ამის მიზეზი კი, გოროსპეს აზრით, ეტაპების სიმოკლეა.

გამარჯვების პრეტენდენტები, ალბათ, ბარსელონას ინდივიდუალური რბოლისა და მას მოყოლებული ორი მთიანი ეტაპის შემდეგ გამოიკვეთებიან. „კელმეს“ თავკაც ვისენტე ბელდას აზრით, ულრიხის ძლევა მთიელების მიერ თითქმის შეუძლებელი იქნება, რადგან იგი ინდივიდუალურ რბოლებში 7 წუთამდე უპირატესობას მაინც მოიპოვებს და ამის გაბათილებას ვერავინ შეძლებს. ერთადერთი შანსი მის წინააღმდეგ ესპანელთა გაერთიანებააო, ამბობენ. ოღონდ შეიძლება ისე მოხდეს, „როსტოკელმა რობოტმა“ ესპანური არმადა მაინც გაანადგუროს.

ბარსელონამდე პეპლებსაც ექნებათ ოსტატობის გამოჩენის საშუალება. სპრინტერულ ეტაპებზე იერონ ბლიილევენსი, ოსკარ ფრეირი, გლენ მაგნუსონი და, რა თქმა უნდა, მარიო ჩიპოლინი შეებრძოლებიან ერთმანეთს.

დაბოლოს, ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ დაახლოებით 500 მილიონი ტელემაყურებელი მიადევნებს თვალს წლევანდელ „ვუელტას“.

**გაიოზ თალაქვაძე**

## ვუელტა 2000. მალაგიდან მადრიდამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 აგვისტო | I ეტაპი | მალაგა | ინდივიდუალური რბოლა, 13,3 კმ |
| 27 აგვისტო | II ეტაპი | მალაგა — კორდობა | 167,5 |
| 28 აგვისტო | III ეტაპი | მონტორო — ვალდეპენასი | 198,4 |
| 29 აგვისტო | IV ეტაპი | ვალდეპენასი — ალბასეტე | 159 |
| 30 აგვისტო | V ეტაპი | ალბასეტე — ჩორე დე კატი | 152,3 |
| 31 აგვისტო | VI ეტაპი | ბენიდორმი — ვალენსია | 155,5 |
| 1 სექტემბერი | VII ეტაპი | ვალენსია — მორელა | 175,4 |
| 2 სექტემბერი | VIII ეტაპი | ვინაროსი — პორტ ავენტურა | 168,5 |
| 3 სექტემბერი | IX ეტაპი | ბარსელონა | ინდივიდუალური რბოლა, 37,6 |
| 4 სექტემბერი | X ეტაპი | საბადელი — ლა მოლინა | 165,8 |
| 5 სექტემბერი | XI ეტაპი | ალპი — არკალისი | 136,5 |
| 6 სექტემბერი | | | უქმე |
| 7 სექტემბერი | XII ეტაპი | სარაგოსა — სარაგოსა | 131,5 |
| 8 სექტემბერი | | | უქმე |
| 9 სექტემბერი | XIII ეტაპი | სანტანდერი — სანტანდერი | 143,3 |
| 10 სექტემბერი | XIV ეტაპი | სანტანდერი — კოვადონგა | 146,5 |
| 11 სექტემბერი | XV ეტაპი | კანგას დე ონისე — ხიხონი | 164,2 |
| 12 სექტემბერი | XVI ეტაპი | ხიხონი — ანგლირუ | 168 |
| 13 სექტემბერი | XVII ეტაპი | ბენავენტე — სალამანკა | 155,5 |
| 14 სექტემბერი | XVIII ეტაპი | ბეხარი — სიუდად როდრიგო | 159 |
| 15 სექტემბერი | XIX ეტაპი | სალამანკა — ავილა | 130 |
| 16 სექტემბერი | XX ეტაპი | ავილა — აბანტოსი | 128,2 |
| 17 სექტემბერი | XXI ეტაპი | მადრიდი | ინდივიდუალური რბოლა, 38 |

## გუნდები და მრბოლები

### ტელეკომი (გერმანია)

იან ულრიხი (გერმანია), როლფ ალდაგი (გერმანია), დანილო ჰონდო (გერმანია), კაი ჰუნდერტმარკი (გერმანია), ანდრეა კლოდენი (გერმანია), ჯოვანი ლომბარდი (იტალია), გეორგ ტოტშნიგი (ავსტრია), გერჰარდ ტრამპუში (ავსტრია), ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი)

### ალესიო (იტალია)

ალესანდრო ბერტოლინი (იტალია), სტეფანო კასაგრანდე (იტალია), მარტინ ჰვასტიხა (სლოვენია), ენდრიო ლეონი (იტალია), მარკო მანიანი (იტალია), ნიკოლა მინელი (იტალია), სერგეი უშაკოვი (უკრაინა), ფელიჩე პუტინი (შვეიცარია), ალექსანდრ შეფერი (ყაზახეთი)

### ბანესტო (ესპანეთი)

ალექს ცულე (შვეიცარია), ხოსე-მარია ხიმენესი (ესპანეთი), ტომაშ ბროზინა (პოლონეთი), ხოსე გარსია აკოსტა (ესპანეთი), აიტორ გარმანდია (ესპანეთი), ხონ ოდრიოსოლა (ესპანეთი), აიტორ ოსა (ესპანეთი), უნაი ოსა (ესპანეთი), სესარ სოლანა (ესპანეთი)

### კანტინა ტოლო (იტალია)

დანილო დი ლუკა (იტალია), პაოლო ბოსონი (იტალია), გაბრიელე კოლომბო (იტალია), მარკო დი რენძო (იტალია), ფედერიკო ჯაბეკუჩი (იტალია), როდოლფო მასი (იტალია), ჯანპაოლო მონდინი (იტალია), რობერტო სგამბელური (იტალია), გიდო ტრენტი (აშშ)

### ესკალტელი (ესპანეთი)

ჩემა დელ ოლმო სენდეგი (ესპანეთი), ინიგო ბერნადესი (ესპანეთი), უნაი ეჩებერია (ვენესუელა), გორკა არიენი (ესპანეთი), რამონ გონსალეს არიეტა ესპანეთი), რობერტო ხაიო (ესპანეთი), ალბერტო ლოპეს დე მუნაინი (ესპანეთი), ალბერტო მარტინეს ტრინიდადი (ესპანეთი), აიმარ სუბელდია (ესპანეთი)

### ფარმ ფრაიტსი (ჰოლანდია)

სტივენ კლეინენი (ბელგია), იანს კოერტსი (ჰოლანდია), გლენ მაგნუსონი (შვედეთი), გენადი მიხაილოვი (რუსეთი), დირკ რონელენფიში (გერმანია), მიკელ ვან კესელი (ჰოლანდია), პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია), ვიმ ვანსევენანტი (ბელგია), პიტერ ვრიესი (ჰოლანდია)

### ფასა ბორტოლო (იტალია)

ვლადიმირ ბელი (იტალია), ფაბიო ბალდატო (იტალია), გაბრიელე ბალდუჩი (იტალია), ლეონარდო ჯორდანი (იტალია), ვლადიმირ გუსტოვი (უკრაინა), ნიკოლა ლოდა (იტალია), ანდრეა პერონი (იტალია), რაიმუნდას რუმსასი (ლატვია), პაოლო ტირალონგო (იტალია)

### ფესტინა (საფრანგეთი)

ანხელ კასერო მორენო (ესპანეთი), რაფაელ კასერო მორენო (ესპანეთი), დევიდ კლინჯერი (აშშ), ჯუზეპე დი გრანდე (იტალია), ფელიქს გარსია კასასი (ესპანეთი), ხაიმე ერნანდეს ბერტრანი (ესპანეთი), როლფო ჰუზერი (შვეიცარია), ფაბიან ჟეკერი (შვეიცარია)

### კოსტა ალმერია (ესპანეთი)

ელეტერიო ანგიტა (ესპანეთი), ანტონიო კოლონ მასი (ესპანეთი), დიეგო ხიმენესი (ესპანეთი), რიკარდო ვალდესი (ესპანეთი), კარლოს გოლბანო გარსია (ესპანეთი), ფაბიო როსიოლი (იტალია), ხინეს სალმერონი (ესპანეთი), პაბლო სოლერი (ესპანეთი), მარიო ტრავერსონი (იტალია)

### ჟან დელატური (საფრანგეთი)

კრისტოფ ბასონი (საფრანგეთი), ფრედერიკ ბესი (საფრანგეთი), ჟილ ბუვარი (საფრანგეთი), ლორან ბროშარი (საფრანგეთი), პატრის ალგანი (საფრანგეთი), კრისტოფ ორიოლი (საფრანგეთი), ედი სენიორი (საფრანგეთი), ფრანსისკ ტეისიე (საფრანგეთი), ბრუნო ტიბუ (საფრანგეთი)

### კელმე (ესპანეთი)

რობერტო ერასი (ესპანეთი), ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი), სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია), ფრანსისკო კაბელო (ესპანეთი), კარლოს კონტრერასი (კოლუმბია), ხოსე გუტიერესი (ესპანეთი), ხოსე რუბიერა (ესპანეთი), ოსკარ სევილია რიბერა (ესპანეთი), ხოსე ვიდალი (ესპანეთი)

### ლამპრე (იტალია)

ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია), სიმონე ბერტოლეტი (იტალია), მასიმო კოდოლი (იტალია), მარკო დელა ვედოვა (იტალია), მატეო ფრუტი (იტალია), ხუან გარატე (ესპანეთი), მარიანო პიკოლი (იტალია), ჯილბერტო სიმონი (იტალია), იან სვორადა (ჩეხეთი)

### კეკოლი (პორტუგალია)

ანდრეი ზინჩენკო (რუსეთი), ბრუნო კასტანეირა (პორტუგალია), სეგუსმუნდო დე ლა ტორე (ესპანეთი), მიკელე ლადომადა (იტალია), პედრო ლოპეს გონსალესი (პორტუგალია), ფერნანდო დოს სანტოსი (პორტუგალია), ჟოზე რიბეირო (პორტუგალია), საულიუს სარკაუსკასი (ლიტვა), იური სურკოვი (მოლდავეთი)

### ლიკიგასი (იტალია)

სერგეი გონჩარი (უკრაინა), დანიელე კონტრინი (იტალია), მირკო მარინი (იტალია), კრისტიან მორენი (იტალია), ჯანკარლო რაიმონდი (იტალია), ელი რასტელი (იტალია), გორაზ სტანგელი (სლოვენია), ანდრეი ტეტერიუკი (ყაზახეთი), მარკო ძანოტი (იტალია)

### მაპეი (იტალია)

პაველ ტონკოვი (რუსეთი), მანუელ ბელტრანი (ესპანეთი), დავიდე ბრამატი (იტალია), ჯანი ფარეზინი (იტალია), პაოლო ფორნაჩიარი (იტალია), ოსკარ ფრეირი (ესპანეთი), პაოლო ლანფრანჩი (იტალია), ანდრეა ტაფი (იტალია), სტეფანო ძანინი (იტალია)

### ონსე (ესპანეთი)

აბრაამ ოლანო (ესპანეთი), ინიგო კუესტა (ესპანეთი), რაფაელ დიასი (ესპანეთი), დავიდ ეჩებერია (ესპანეთი), მარსელინო გარსია (ესპანეთი), სანტოს გონსალესი (ესპანეთი), პეტერ ლუტენბერგერი (ავსტრია), ისიდრო ნოსალი (ესპანეთი), მიკელ სარაბეიტია (ესპანეთი)

### პოლტი (იტალია)

რიშარ ვირანკი (საფრანგეთი), იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია), დანიელ კლავერო (ესპანეთი), მირკო კრეპალდი (იტალია), ივან გოტი (იტალია), პასკალ ერვე (საფრანგეთი), ოსკარ პელიჩიოლი (იტალია), რაფაელ პერესი (ესპანეთი), ხოსე ურია გონსალესი (ესპანეთი)

### ფუენლაბრადა (ესპანეთი)

ანდრეა სილერი (ესპანეთი), დავიდ დომინგო (ესპანეთი), ხუან ფლეჰა (ესპანეთი), სესარ გარსია კალვო (ესპანეთი), ედუარდო ერნანდესი (ესპანეთი), პედრო ხიმენესი (ესპანეთი), ერნან მუნიოსი (კოლუმბია), გერმან ნიეტო ფერნანდესი (ესპანეთი), ხოსე ვასკეს პალომო (ესპანეთი)

### საეკო (იტალია)

ლორან დიუფო (შვეიცარია), დანიელ ატიენსა (ესპანეთი), ჯუზეპე კალკატერა (იტალია), მარიო ჩიპოლინი (იტალია), ბიაჯიო კონტე (იტალია), ალესიო გალეტი (იტალია), არმინ მეიერი (შვეიცარია), მასიმილიანო მორი (იტალია), ფრანჩესკო სეჩიარი (იტალია)

### ვიტალიციო (ესპანეთი)

იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი), სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი), ფრანსისკო სერესო (ესპანეთი), ხუან დომინგესი (ესპანეთი), ალვარო გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი), იან ჰრუსკა (ჩეხეთი), ივან პარა (კოლუმბია), ვიქტორ ჰიუგო პენია (კოლუმბია), ხუან ვიკარიო (ესპანეთი)

## ინგლისი

I დივიზიონი

ჯილინგემი 1:1 პორტსმუთი

III დივიზიონი

კარლაისლი 1:1 იორკი

## შვეიცარია

„ბ“ ჯგუფი

X ტური

ტუნი 0:1 სოლოტურნი

## ბელგია

III ტური

ბევერსხოტი 1:0 სტანდარდი

1:0 ვან დე ვეირი (38)

## გერმანია

თასი. I ეტაპი

ერფურტი 0:2 ულმი

ჰალბერგი 0:5 ნიურნბერგი

კარლსრუე 2:1 ქემნიცი

ლევერკუზენი (მოყვ.) 1:2 ზტ. პაული

ოსნაბრუკი 0:1 ჰანოვერი

ემდენი 0:1 მაინცი

ბერლინი 1:3 არმინია

## ჩეხეთი

V ტური

ბანიკი 1:3 სლავია

## თურქეთი

III ტური

სამსუნი 1:1 ტრაბზონი



# მოულოდნელი სიკვდილი

ტოკიოში აღესრულა კიკბოქსინგის შვეიცარიელი მსოფლიოს ჩემპიონი ენდი ჰაგი (მარჯვნივ). საბრალო ჰაგს სამი დღის წინ აღმოაჩნდა სისხლის გათეთრება და გაათავა კიდეც. ენდი ძალიან პოპულარული იყო თავის სამშობლოსა და იაპონიაში, სადაც ბოლო დროს ცხოვრობდა და ვარჯიშობდა.



# სიერას ფიესტა და ფუჩუს ცრემლი

პენსილვანიაში ბეისბოლის ნორჩთა ლიგის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. დახეთ, როგორ აუტირებია წაგებას „მუსაში ფუჩუს“ პატარა ბიჭები. მოგებულნი კი ვენესუელელები დარჩენილან — „სიერა მაესტრას“ ონავრები.

აჰა, სიდნეის ღამის ამბავი — ხუთი ცალი ხუთი მეტრის დიამეტრის მანათობელი რგოლი ოლიმპიადის მოახლოებას შეახსენებს იქაურებს. სიდნეის ბიზნეს-უბანში, მარტინ პლეისის თავზე აკიაფებული ოლიმპიური რგოლები ამოდ საცქერი ყოფილა.



# სიდნეისა და პეკინში



ამერ კი ყოფითი ფოტო პეკინიდან, რომელიც უკვე ემზადება 2008 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ. საცოდლიან ველოსიპედზე მჯდომ ქალს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. უკან რაღაც დაუნგრევიათ, იმას დააკვირდით: იქ სპორტული დარბაზი აშენდება.



# გაიწიეს

ასეთი ამბავი ხშირია: მოკრივენი ვერ ითმენენ და რინგზე გასვლამდე იწევენ ერთმანეთზე. დღეს, ლას ვეგასში დიდი საჩემპიონო ბრძოლაა — ფედერაციის (იბფ) დაუმარცხებელი ჩემპიონი ფერნანდოს-ვარგასი (მარჯვნივ) ბუფალოელ პრეტენდენტ როს ტომპსონს უნდა შეერკინოს. შეერკინოს და შეერკინოს თუ საქმე იქამდე მივიდა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ გუშინდელ პრესკონფერენციაზე „მენდელეი ბეი სენთერში“ მოკრივეებმა ერთმანეთზე გაიწიეს და პრეტენდენტი ათმა კაცმა ძლივს გაათრია დარბაზიდან.

თურმე, დერეფნიდანაც ვარგასის გინება ისმოდა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge